№ 11. 18 ივნისი, 1929 წ. ფასი ყველგან 15 კაპ.

F 221/1929

# დროშა



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

## ორთქლმავალის შეკეთება

სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შესაკეთებელი ქარხანა (თბილისი)

ძირს
[პოლონეთის
ფაშიზმი!



ოლონეთის ოფიციალური წრეების გამოსვლამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელს საქართველოში. უამრავ კრებებსა და მიტინგებს გარდა, თბილისში ადგილი ჰქონდა მშრომელთა რამოდენიმე დემონსტრაციას პოლონეთის საკონსულოს წინ, მოთხოვნით საკონსულოს გაძევების შესახებ. სურათი წა რმოადგენს ერთს ასეთს დემონსტრაციას.



**ბრუნო იასენსკი.** ცნობილი პოლონელი პროლეტარული მწერალი, ავტორი წიგნის „მე ვწვავ პარიზს“. როგორც ემიგრანტი ცხოვრობდა პარიზში, საბჭოთა კავშირის ერთი უერთგულესი მეგობართაგანია. მან მოაწყო პოლონელ მუშათა თეატრი პარიზში და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა საფრანგეთში მცხოვრებ პოლონელ მშრომელთა შორის იმ ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ, რომელიც პილსუდსკის რესპუბლიკაშია გამეფებული. პარიზის პოლიციამ იასენსკი საფრანგეთიდან გააძევა და ამჟამად იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება.



ამხ. გვადელუპე როდრიგეც. მექსიკელი რევოლიუციონერი, რომელიც დ.ხვრიტეს პრეზიდენტ პორტეს ხილის განკარგულებით.



ამხ. გნილიაკევიჩი. ყოფ. მოჯამაგირე, შემდეგ ზეინკალი. ბელორუსიის ცაკის სესიაზე არჩეულ იქნა შრომის სახ. კომისრად



**რამზაი მაკდონალდი.** ინგლისის „მუშათა“ პარტიის ლიდერი, რომელსაც ინგლისის ბურჟუაზიის თანხმობით მეორეთ ეღირსა „მისი უდიდებულესობის“ პრემიერობა. თუ როგორ მუშათა პოლიტიკას გაატარებს ეს უკაცრავად სიტყვაა „მუშათა“ მთავრობა, ამას ნათლად ამტკიცებს ბურჟუაზიული პრესის გამოძახილი საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. კონსერვატიული გაზეთებიც კი აცხადებენ, რომ მაკდონალდის „სოციალიზმში“ არაფერი საშიში არ არის და მისი მთავრობა ბალდუინ-ხიკს-ჩემბერლენზე უარესად არ დაიცავს იმპერიის ინტერესებსო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11. 1929 წ. 18 ივნისი

# ამიერ-კავკასიის ძმურ ხალხთა კულტურული კავშირისათვის

## საქართველოს და აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაცია სომხეთში







1) აზერბეიჯანის და საქართველოს მწერალთა დელეგაცია სომხე ის მწერლებთან ერთად. 2) მწერლები მიემგზავრებიან ძორაგესის დასათვალიერებლად.



3) საქართველოს და აზერბეიჯანის პროლეტმწერლები სომხეთის პროლეტმწერლებთან ერთად. 4) საქართველოს და აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაციები ათვალიერებენ ერევანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სომხეთის ლიტერატურული ცხოვრება

## ა. სურხატ

სომხეთის ლიტერატურული ცხოვრების ცენტრს, როგორც ვიცით, ამჟამად წარმოადგენს ერევანი—სომხეთის რესპუბლიკის კულტურული ცენტრი. რამდენადაც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა მეოხებით მაღლა იწევს მშრომელი მასების საერთო კულტურული დონე, იმდენად უფრო მრავალფეროვანი და ხარისხობრივად უკეთესი ხდება შემოქმედებითი ძალების მხატვრული პროდუქცია.



ა. აკოპიანი

წმინდა იდეოლოგიური ხასიათის მებრძოლი ჟურნალებს გარდა, რომელიც არის, მაგალითად „ლენინიზმის გზა“ („ბოლშევიკი“-ს ტიპის), „სოფლის კომუნისტი“ და კომკავშირის „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, ერევანში გამოდის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო „ლიტერატურულ სადარაჯოზე“ და ახალი დიდი ლიტერ ტურულ - პოლიტიკურ -სამეცნიერო ჟურნალი „ნორ უგი“—„ახალი გზა“. კულტურული ზრდის პროცესში მყოფი მასის ინტერესები მოითხოვდა სერიოზულ, იდეოლოგიურად და მხატვრულად გამართლებულ პერიოდულ ორგ ნოს გამოცემას. ასეთი ორგანო შეიქმნა ამ რამდენიმე თვის წინად. გარდა ამისა, ასეთ პერიოდულ ორგანოს უქონლობის გამო ბევრი მწერ.ლი იძულებული იყო ხმ.ამოუღებლივ გაჩერ.ბულიყო. ამიტომ გა.აგებია, რომ ახალი .ქელტანიანი ჟურნალის გამოსვლას სიხარულით შეხვდნენ როგორც მთელი პრესა და საზოგადოებრივობა, ისე ლიტერატურული წრეები.



შირვან-ზადე



ავ. ისაკიანი

„ნორ უგი“-ს დანიშნულებაა გააერთიანოს ყველა ჩვენი ლიტერატურული ძალები და რაც შეიძლება ფართოდ დააკმაყოფილოს მშრომელი მასების კულტურულ-მხატვრული მოთხოვნილებანი. ჟურნალში მოთავსებულია პროლეტარულ და თანამგზავრ მწერალთა საუკეთესო ძალების ნაწერები. ლიტერატურულ-მხატვრულ განყოფილებას ჟურნალში უჭირავს ნახევარზე მეტი ადგილი, შემდეგ მიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილება, კრიტიკა და ხელოვნება, სამეცნიერო - ეკონომიური საკითხე.ი და მეცნიერება. ჟურნალში უპირატესობა აქვს მინიჭებული პირველ სამ განყოფილებას. ბიბლიოგრაფიის განყოფილება ჟურნალის პირველ ნომერში მეტად სუსტადაა წარმოდგენილი.



ა. ვართანიანი

ჟურნალის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს ნიჭიერ პოეტ ჩარენცის დიდი პოემის „ხმბაპეტ შავარშ“-ის მთლიანი ნაწყვეტი. პოემა დაწერილია მკვეთრად, მძლავრად. სჩანს დიდი მხატვრული კილო.

პოეტი ხატავს დაშნაკური მაუზერიზმის, ბანდიტიზმის ხანას. შავარში უნივერსალური ტიპია ხმბაპეტის, „ეროვნული“ რაზმის უფროსის, რომელიც წარმოადგენდა ჭეშმარიტ დაშნაკურ ხელისუფლებას სომხეთში.



ვშტუნი

პოემა დაწერილია დამშვიდებული ეპიური ტონით, შესანიშნავად მკაფიოდ და ცოცხლად არის დახატული თავზე ხელაღებული ხმბაპეტის ფიგურა. ეს არის „უბადლო“ ოსტატი თურქების სოფლების განადგურებაში, ეგრედ წოდებული „სრბელ-მაკრელ“-ის (დაშნაკების ტერმინი: სომხეთის ტერიტორიიდან თურქი მოსახლეობის „აღგვა—ასუფთავება“) საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფიგურის დახატვაში ჩარენცმა უდიდეს ოსტატობას მიაღწია.



ალაზანი

ჟურნალში იბეჭდება ცნობილი პროზაიკოსის აკსელ ბაკუნცის დიდი ნაწარმოები „კარმრაქარ“-ის („წითელქვიანი“). პირველი თავები. ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია სოფელ კარმრაქარის დაარსების ისტორია, ოქმის კილოზე დაწერილად გვეჩვენება. დანარჩენი თავები სოციალურ და მხატვრულ ინტერესს წარმოადგენენ. ავტორმა ამოცანად დაისახა—დაეხატა სომხეთის პროვინციაში სავაჭრო კაპიტალის განვითარებისა და სამრეწველო კაპიტალის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.



დ. დემირჩიან

ძველი სოფლის ფონზე აკსელი ხატავს სოფლის კლასობრივ ფენებათ დაყოფის სურათი, იმ მსხვილი, ენერგიული კულაკების ცალკე ფიგურებს, რომელნიც სცდილობდნენ სამრეწველო მეურნეობის შექმნას. გამოყვანილია ორი თაობა. ძველი თაობის წარმომადგენელი ტიპიური მევახშეა—მაზრის მასშტაბის წურბელა, ხარბი, ბოროტი, გულჩახვეული, თავისი კლიენტების—ულარიბესი გლეხების—უმოწყალოდ მყვლეფავი. ამავე დროს ის მატყლის დიდი ვაჭარიც არის, იყენებს „კონტრაქტაციის“ წესს, დაკავშირებულია ქალაქთან.

მეორე თაობის წარმომადგენელი არის ტიპი რაიონული მასშტაბის ვაჭრის, რომქლიც ეძებს ახალ ასპარეზს თავისი კაპიტალებისა და ორგანიზატორული უნარის გამოსაყენებლად. ნაწარმოების ამ ნაწილში უკვე მოსჩანს მუშები და მოჯამაგირენი, რომელნიც მუშაობენ კულაკ-კაპიტალისტის ხე-ტყის სახერხ მექანიკურ ქარხანაში. აქ უკვე გაისმის მათი უკმაყოფილების ხმები თავიანთი მძიმე სვე-ბედის გამო, მაგრამ კლასობრივი შეგნება ჯერ კიდევ არ სჩანს. ენერგიული გაქნილი კულაკის გამოხატულებაში, იმ კულაკის, რომელიც სამრეწველო კაპიტალისტად იქცევა, ჯერ-ჯერობით არ სჩანს ბოროტი ადამიანის ჩვეულებრივი შაბლონის რაიმე ნიშანი, სწორედ ამიტომ უფრო დამაჯერებელი გვეჩვენება ულმობელი, მკაცრი ექსპლოატატორის მოხერხებული მახინაციები. თავისი თემატიკით „კარმრაქარ“-ი მოგვაგონებს მ. გორკის „არტამონოვების საქმეს“. აკსელ ბაკუნცი ახალგაზრდა პროლეტარული პროზაიკოსია და იმყოფება თავისი შემოქმედების ნაყოფიერ პერიოდში.



ე. ჩარენც



სტ. ზორიანი

ავტორისათვის ჩვეულებრივი რბილი ტონებით დაწერილია ა რ ა ზ ი ს პატარა მოთხრობა „წითელი სასძლო“. მოთხრობა ხატავს ინტელიგენტ-მარქსისტის მუშაობას პროლეტარული ცხოვრების პირველ პერიოდში (მიმდინარე საუკუნის დასაწყისს), ამ ინტელიგენტის პირველ გამოუცდელ ნაბიჯებს მუშებს შორის და მის ბავშვურ ხერხებს ჟანდარმების და შპიკების მოსატყუებლად. მოთხრობილია, თუ როგორ „გაიბზარა“ კაპიტალიზმის შენობა ფეხზე დამდგარ პროლეტართა კლასის შეტევის გამო. მოთხრობა მოგვაგონებს ჩვენს გუშინდელ დღეს, რევოლიუციონერ მარქსისტების პირველ ნაბიჯებს. მოთხრობის ნაკლი ის არის, რომ სუსტად არის ასახული რევოლიუციონერის ურთიერთობა მუშებთან, თუმცა ავტორი ანგარიშს უწევს სოციალური ფონისა და სოციალური ბრძოლის უპირატეს მნიშვნელობას.



მ. არმენ

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად ჩვენ იძულებულნი ვიყავით აღგვენიშნა, რომ სომხურ ლიტერატურაში მეტად სუსტად წარმოდგენილია მუშათა სინამდვილე. სომხეთში კი არსებობს მრეწველობა, თუმცა არა მსხვილი, და მუშების კომპაქტური მასა. და ჩვენს პროლეტარულ მწერლებს პირველ რიგში ისინი უნდა გაეხადათ თავიანთი დაკვირვების საგნად. ეხლა უკვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლები შეუდგნენ მუშათა ყოფა-ცხოვრების დახატვას.

ჟურნალის მეორე ნომერში მოთავსებულია ა ლ ა ზ ა ნ ი ს მოთხრობის „არშაკ არინიან“-ის გრძელი ნაწყვეტი, რომელშიაც ასახულია მუშათა ახალი ყოფა-ცხოვრება, ამ ნაწყვეტში ავტორის ზოგიერთ შეცდომასთან ერთად შეიძლება აღინიშნოს რევოლიუციონური ოპტიმიზმი და მოთხრობის ცალკე ნაწილების საერთოდ მოხერხებული მხატვრული შესრულება. ამ ნაწარმოების ღირსება-ნაკლულოვანებას უფრო დაწვრილებით შევეხებით, როცა მოთხრობა ცალკე გამოცემად გამოვა.

მხცოვანი ძველი მწერლების შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე ს და ა ვ. ი ს ა ა კ ი ა ნ ი ს ის მოთხრობები, რომლებიც მოთავსებულია ჟურნალის პირველ ნომერში, შემთხვევითია მათი ავტორებისათვის.

შირვანზადეს მოთხრობაში „ადამიანი ცხოველში“ გამოყენებულია ბოლშევიკური რევოლიუციის მიერ დამხობილი და საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან გადატყორცნილი კაპიტალისტის ფიგურა. ხვალინდელ დღეზე ზრუნვა აიძულებს ყოფილ ბაქოელ ბობოლას განიცადოს მეტად ურასანუგეშო გრძნობები და ეძიოს საზრდო უბრალო მუშის შრომით. თავისი გმირი ავტორს გამოჰყავს „ცხოველად“ როდესაც იგი კლასობრივად გაბატონებულია, მაგრამ „ადამიანად“ ხდის, როცა მის წინაშე წამოიჭრება რკინისებური უცილებლობა — საკუთარი შრომით მოიპოვოს ლუკმა პური.

დ. დ ი მ ი რ ჩ ი ა ნ ი მოთხობაში „სამნი“ ეხება სქესობრივ საკითხს. რაშია წინააღმდეგობა, მთავარი ბოროტება? ერთ-ერთი გმირის (პარტიის წევრის) აზრით, „საკუთრების“ გრძნობაში ქალის მიმართ. მაგრამ იგივე გმირი მოიწადინებს თავისი ამხანაგის ცოლის დასაკუთრებას, რითაც ამტკიცებს ამ საკითხის შაბლონურად გადაჭრის შეუძლებლობას. იგი ბრძოლას უცხადებს „საკუთრებას“, მაგრამ თითონვე შეეცდება ძალით ჩაიგდოს ხელში საყვარელი ქალი და ამით არარაობად აქცევს თავის თვალსაზრისს სქესობრივი საკითხის რადიკალურად გადაჭრის შესახებ. პერსონაჟების შეჯახებისა და განცდების გამოხატვაში ავტორი უთუოდ ოსტატობას იჩენს, მაგრამ მის მიერ წამოყენებული დებულებები სადავოა. მისი გმირი წინააღმდეგობებშია გახვეული.

ტ ო ტ ო ვ ე ნ ც ი ს „თანამედროვე ზღაპარი“ ინტერესით იკითხება, იგი წარმოადგენს ამერიკის სოციალური კონტრასტების ნახევრად ბელეტრისტულ გადმოცემას. ავტორს თითონ რამდენიმე წელიწადი უცხოვრია ამერიკაში და ეხერხება იქაური პირობების ასახვა.

თავის მოთხრობაში „შემოუბრუნებელი გზა“ ა რ მ ე ნ ი სცდილობს დაგვიხატოს ყოფილი კაპიტალისტის შვილის მუშად გარდაქმის პროცესი. ჩვენის აზრით, მოთხრობა ხელოვნურ საფუძველზეა აგებული და ამიტომ დამაჯერებელი ვერ არის.

ს ტ. ზ ო რ ი ა ნ მ ა დასწერა „რევკომის თავმჯდომარე“ და „ბიბლიოთეკის გამგე ქალი“, რომლეიშიაც შეეხო რევოლიუციონურ თემებს. ამჟამად იგი ბეჭდავს თავის დიდ მოთხრობას „ვარდაცორის კომუნა“, რომელშიაც ასახულია ჩვენი კოლექტიური მშენებლობა საბჭოთა სოფელში. მოთხობაში დახატულია კულაკური ელემენტების ბრძოლა კოლმეურნეობის მომხრეთა წინააღმდეგ, შეიარაღებული თავდასხმები კოლმეურნეობათა მუშაკებზე, მკვლელობა, ცეცხლის წაკიდება. სტ. ზორიანი ერთ-ერთი იმ მემარცხენე თანამგზავრთაგანია, რომელიც ახლო დგანან პროლეტარულ ლიტერატურასთან.

ჟურნალის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მ. დ ა რ ბ ი ნ ი ა ნ ი ს მოთხრობა „ფარსადანი“, რომელშიაც გ მოხატულია მოჯამაგირეს ბრძოლა კულაკთან. ავტორმა კულაკი უფრო სრულად დაგვიხატა, ვიდრე მოჯამაგირე.

გ. მ ე ს ი ა ნ ი ს მოთხრობაში „მობილიზაცია“ ცოცხლად არის გადმოცემული საქართველოს პროვინციაში ჩატარებული საცდელი მობილიზაციის საყოფაცხოვრებო სურათები

მ ა ა რ ი ს და ნ ო რ ე ნ ც ი ს ლექსები მხნედ გაისმის, მაგრამ მათი ნაკლია ერთფეროვანება, რაც ეხლანდელი პერიოდის ლექსების უმრავლესობას ახასიათებს. ჟურნალის მე-4 ნომერში მაარიმ მოათავსა მთელი რიგი ლექსები საერთო ორიგინალური სათაურით—„სოვეტ-ნოვა“. ეს არის საიათ-ნოვას პოეზიის სტილიზაცია. მაარი სცდილობს იმ ძველ ფორმას, რომელიც თავის დროზე დიდმა სახალხო მგოსანმა შექმნა, შთაბეროს ახალი შინაარსი, რაც ჩვენის აზრით, წარმოადგენს უშედეგო ცდას—მე-XVIII საუკუნის საშუალებებით ჩვენი ეპოქის აზრები და გრძნობები ვერ აისახება.

ჟურნალმა „ახალი გზა“-მ მიზნად დაისახა პერიოდულად დაბეჭდოს ქართულ და თურქულ მხატვრულ ნაწარმოე თა თარგმანები. მეორე ნომერში მოთავსებულია ს. ჯ ა ვ შ ა ნ ი ძ ი ს მოთხრობა „პირველი ტრაქტორი“, რომელიც თარგმნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნის ტ. ფირუმიანის მიერ.

მე-4 ნომერში ვხედავთ ცნობილი უკრაინელი პოეტის პ ა ვ ლ ო ტ ი ჩ ი ნ ა ს ლექსების თარგმანებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განყოფილებაში ყურადღების ღირსია ამხ. ხ ა ნ ჯ ი ა ნ ი ს წერილი. წერილი ჯამს უკეთებს სომხეთის კომპარტიის მეექვსე ყრილობას, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საყურადღებოა ამხ. მ ა ნ დ ა ლ ი ა ნ ი ს წერილი „დაშნაკების თებერვლის ავანტიურის შესახებ“ და სომხეთის ბოლშევიკების 1920 წ. მაისის აჯანყების შესახებ“, აგრეთვე ა. ე ს—ი ს წერილი «თურქეთის ორიენტაციის საკითხი», „დაშნაკციუტუნ“-ის განხეთქილება“. იბეჭდება ა. ა ზ ა ტ ი ა ნ ი ს შრომა— „დაშნაკციუტუნ“-ის კლასობრივი ბუნება“. ავტორის თვალსაზრისით — „დაშნაკციუტუნ“-ი სომხეთის ბურჟუაზიის მებრძოლ ორგანოს წარმოადგენს.



ნარ-დოს

კრიტიკულ წერილებიდან შეიძლება აღინიშნოს: ამხ, მ ა კ ი ნ ც ი ა ნ ი ს წერილი—„ოვანეს თუმანიანი“, ა. ტ ე რ ტ ე რ ი ა ნ ი ს — „ლიტერატურული სტილის სოციოლოგია“, ვ ა ნ ა ნ დ ე ც ი ს—„შირვანზადეს შემოქმედების შესახებ“, ა. ს უ რ ხ ა ტ ი ს —„დაშნაკური ლიტერატურის შესახებ“.

ხელოვნების განყოფილებაში მოთავსებულია ვ. დ. ყ ო რ ღ ა ნ ო ვ ი ს წერილი „ფრანც შუბერტის შესახებ“. არის სამეცნიერო წერილები: გ ა ბ რ ი ე ლ ი ა ნ ი ს—„გაახალგაზრდავების მეცნიერული საფუძვლების შესახებ“ და კ ა პ ა ც ი ა ნ ი ს—„სიტყვა „ორენქ“-ის (კანონი) კლასობრივი წარმოშობა“.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ჟურნალში მოთავსებული თითქმის ყველა ნაწარმოებები და წერილები.

„ნორ უგი“ უეჭველად ერთ-ერთი მიღწევაა კულტურული რევოლიუციის ფრონტზე. ყოველი ნომერი 260—300 გვერდს შეიცავს, იგი ერთსა და იმავე დროს ააშკარავებს მწერლების, ლიტერატორების, ხელოვნების მცოდნეების და სხვათა პოტენციალურ შემოქმედებით ძალებს. სარედაქციო და ტეხნიკური ხასიათის ნაკლი უთუოდ აქვს ადგილი, მაგრამ ამ ნაკლის აღმოფხვრა ძნელი არ არის, თუ ჟურნალის ირგვლივ ერთდროულად დაირაზმებიან საუკეთესო შემოქმედებითი ძალები (ასეთი ძალები კი არა მარტო ერევანშია, არამედ თბილისში და ბაქოშიაც) და მაშინ ჟურნალი გადაიქცევა სერიოზულ რევოლიუციონურ-კულტურულ ორგანოდ ჩვენს იდეოლოგიურ ფრონტზე.

ა. სურხატ.



აფხაზეთი. —გულრიპშის სანატორიუმი.

# ა. ს. პუშკინი

(დაბადებიდან 130 წლის შესრულების გამო)

შ. დუდუჩავა

6 ივნისს შესრულდა ას ოცდაათი წელიწადი ა. ს. პუშკინის დაბადებიდან, ხოლო 8 ივნისს—ასი წელიწადი, რაც რომ ის პირველად თბილისში ჩამოვიდა. ა. ს. პუშკინი გამოვიდა მსხვილ-მემამულეთა გვარიდან. თავდაპირველი განათლება (უცხო ენები, ფრანგი კლასიკები) მიიღო სახლში, ხოლო თორმეტი წლის პუშკინი შეიყვანეს ცარსკოე სელოს ლიცეიში, რომელიც წარმოადგენდა არისტოკრატთა ბავშვების სკოლას. აქ ყალიბდება ლიტერატურული წრე, სადაც პუშკინთან ერთათ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე მომავალი დეკაბრისტი კიუხელბეკერი. ამ წრეში პუშკინი ეცნობა ფრანგ მწერლების—ბუალოს, ვოლტერის, შაპელის და სხ. ნაწარმოებს, რომლის ძირითადი მატივები და სიუჟეტები განსაზღვრავდ;ნ პუშკინის შემოქმედებას ლიცეის პერიოდისას, ხოლო ფორმალურის მხრივ პუშკინი განიცდიდა აქ კარამზინის, ჟუკოვსკის და დერჟავინის გავლენას. 1814 წელს პუშკინის რამდენიმე ლექსი იბეჭდება, რომლითაც ის ყურადღებას იპყრობს მაშინდელი საზოგადოებრიობის:გან, განსაკუთრებული თანაგრძნობა მან ჰპოვა თავის პირველ ლიტერატურულ დებიუტის გამო ჟუკოვსკი, ვიაზემსკი და კარამზინში. ლიცეიში მან დაიწყო „რუსლან და ლიუდმილა“. ლიცეიდან გამოსვლის შემდეგ პუშკინი იწყებს აქტიურ მუშაობას ლიტერატურულ საზოგადოებაში, რომელსაც ერქვა „არზამასი“. აქ იყო წარმოდგენილი თითქმის ყველა დაჯგუფებანი და სკოლები. ლიტერ ტურულ ს კითხებთან ერთათ არჩევდნენ აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებსაც. პუშკინი ეცნობა მაშინდელი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს: ტურგენევს, ჩაადაევს, რაევსკის, პუშჩინს და სხ. ლიბერალური იდეები და თავისუფლების ოცნებები იპყრობს ა. ს. პუშკინის მთელს არსებას. თავდაპირველი ფაზა პუშკინის პოეზიისა ხვდება იმ მომენტს, როდესაც რუსეთის ინტელიგენცია ეძლეოდა იმედს სრულყოფილი ცხოვრებისას. ასეთ განწყობილებას ხელი შეუწყო მთელმა რიგ ობიექტურმა გარემოებებმა. ეს განწყობილება სავსე იყო სიხალისით, ძალით და ახალგაზრდული აღტკინებით. ეს იყო თუ შეიძლება ასე ითქვას „ფსიქოლოგიური“ გაზაფხული (მხოლოდ ფსიქოლოგიური!) მაშინდელი ინტელიგენციისა. მაგრამ მეორეს მხრივ ბნელი აწმყო და შემეცნება მომავლისათვის ბრძოლის სიძნელისა ჰქმნიდა თავისებურ „დაეჭვიანებას“, მაგრამ ეს „დაეჭვიანება“ იყო არა პესიმიზმის და სიმხდალის ნიშანი, არამედ პირიქით ის წარმოადგენდა ახალგაზრდულ დაფიქრიანებას და ნამდვილ სტიმულს ბრძოლისას. ასეთი განწყობილება ჰქმნიდა პოეტურ ათვისებას სინამდვილისას, რაიც წითელ ზოლივით გატარებულია პუშკინის პოეზიაში. ჩაადაევის, პუშჩინის, კიუხელბეკერის, რაევსკის ჯგუფმა იქონია გავლენა პუშკინზე; მოწოდება თავისუფლებისაკენ, მაგრამ „განათლებული თავისუფლებისაკენ“ გახდა ძირითადი მოტივი პუშკინის პოეზიისა; მას თითქოს სძაგს ტირანია და მთელი საზოგადოებრივი სისტემა ტირანიაზე აშენებული:

„С развратным городом не лучше ль нам
проститься,
Где все продажное: законы, правота
И консул, и трибун, и честь и красота“?..

1818 წელს ა. პუშკინი სწერს ჩაადაევს:

„Товарищь, верь: взойдет она
Заря пленительного счастья
Россия воспрянет ото сна
И на обломках самовластья
Напишет наши имена“.



პუშკინი ინსტიქტურათ გრძნობს ეკონომიურ განვითარების ტენდენციებს. სავაჭრო კაპიტალის შემოჭრამ შექმნა ახალი პირობები და ახალი მოთხოვნილებახი მაშინდელი საზოგადოებრიობისათვის. ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს სისტემა ბატონ-ყმობისა. პუშკინი ხედავს, რომ ეს სისტემა მოძველდა და ეკონომიურად გამოუსადეგარი არის. საჭიროა რეფორმები ამ მხრივ: და პუშკინიც ფიქრობს თავის ონეგინის სახით „შემსუბუქებას“ ყმის შრომისას და ამიტომაც ონეგინი იძულებული ხდება

„Ярем барщины старинной
Оброком легким заменить“.

მაგრამ მთავარია აქ ის გარემოება, რომ პუშკინი ფიქრობს რომ ბატონ-ყმობის სისტემის შეცვლა შეუძლია მხოლოდ მეფეს და მეტს არავის. პუშკინს ეშინია რევოლიუციის, მისი რომანტიული ათვისება სინამდვილისა საბოლოო ანგარიშში განისაზღვრა „ქრისტიანული“ რეფორმიზმის ფაქტორებით, რომელმაც თ ვისი მკვეთრი გამოხატულება რეაქციონურ უტოპიზმში ჰპოვა.

Увижу ль я, друзья, народ неугнетенный
И рабство падшее по манию царя
И над отечеством свободы просвещенной
Взойдет ли наконец прекрасная заря?

თავდაპირველად პუშკინი თითქმის თანაუგრძნობდა დეკაბრისტების ლიბერალურ იდეებს. მაგრამ საბოლოოთ ილვიძებს ინსტიქტი მემამულისა, რომელსაც პრინციპიალურად არ სწამს მშრომელი ხალხის კეთილდღეობა და რომლის ტანჯვასა და წვალებას ბუნებრივ (ბიოლოგიურადაც) მოვლენათ სთვლის.

„Паситесь мирные народы!
Вас не пробудит чести клич!
К чему стадам дары свободы?
Их должно резать или стричь;
Наследство их из рода в роды
Ярмо с гремушками да бич“.

დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ პუშკინი პრინციპიალურად შორდება ყოველგვარ ლიბერალურ იდეებს და ჰქმნის პროექტს იმის შესახებ, რომ მეორეთ არ განმეორდეს ეს „საძაგლობა“ ე. ი. აჯანყება მეფის წინაალმდეგ. პუშკინი ფ-ქრობს, რომ ერთათ ერთი გზა აჯანყების თავიდან ასაცილებლად არის განათლება და ზნეობრიობის შეგნება.

ამის შესახებ ის სპეციალურ წერილს სწერს ნიკოლოზ I. „დუბროვსკში“ და განსაკუთრებით „История села Горюхина“-ში პუშკინი იძლევა გლეხობის სულისკვეთების ι წორ სურათს. მაგრამ მისი გზა გლეხობის მდგომარეობის განთავისუფლებისათვ-ს არის გზა რეაქციონური უტოპიზმის: აპელაცია მეფისადმი. ასე არის შემოქმედებაში. მაგრამ როგორც უკანასკნელი გამოკვლევები ამტკიცებენ დოკუმენტალურათ პუშკინს თავის მეურნ;ობაში შემოჰქონდა ისე ი სისტემა, რომლის წინაალმდეგ ის იბრძვის „История села Горюхина“-ში, მემამულე პუშკინის ხელში გლეხები განიცდიდენ აუტანელ ტანჯვას.

უმთავრეს მომენტებში პუშკინის შემოქმედებას ახასიათებს ინდიფერენტული დამოკიდებულება საზოგადოებრივ საკითხებთან:

Не для житейского волнения,
Не для корысти, не для битв—
Мы рождены для вдохновенья
Для звуков сладких и молитв.

ასეთ წმინდა ლირიკას წარმოადგენს ვგენი ონეგ-ნი, რომლის სპეციფიკა ორ მომენტში მჟღავნდება: ონეგინის თვისებური პესიმიზმი, „სასოწარკვეთა“, უნიათობა: без службы, без жены, без дел

себя занять я не сумел,..
და ტატიანას „დომოსტროი“.
Я вас люблю к чему лукавить
Но я другому отдана
И буду ввек ему верна

ფსიქოლოგიურ მონათ ქცევა, თვის „მე“-ს სრული დაკარგვა—აი აზრი და შინაარსი მამინდელ რუსულ „დომოსტროის :

მხატვრული თვალსაზრისით პუშკინის ლიტერატურულ მოღვაწეობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს. კლასიკური და სენტიმენტალური სტილი მან გაშალა უაღრეს მხატვრულ სიმარტივის ფონზე.

თავისი ბორის გოდუნოვით მან გაანთავისუფლა რუ ული თეატრი ფრანგ კლასიკების გავლენისაგან.

ბელინსკიმ სამართლიანად უწოდა პუშკინს „ენციკლოპედია“ რუსული ლიტერატურისა, და მართლაც პუშკინი - ეს უდიდესი პოეტი მეთვრამეტე საუკუნისა—დამწყებია ახალი ხანის და ახალი გზების რუსულ ლიტერატურაში.

შ. დუდუჩავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი ჯვრიდან წითელ დროშისკენ *)

მაქს ჰელცი

თარგმნილი გერმანულიდან გერონტი ქიქოძის მიერ

## ამხანაგები სატუსაღოდან მანთავისუფლებენ

საიხედროთ გამოწყობილმა ამხანაგმა შუაღამისას ზარი ჩამორეკა სატუსაღოს შემოსავალში და შეკითხვებზე უპასუხა: ჟანდარი მიულერი ვარ, ტუსაღი მოვიყვანეო. ორმა ზედამხედველმა ქიშკარი გაალო სახახევროთ. ამხანაგები ძაშინვე ქიშკარს მოაწვნენ, ზედამხედველებს მივარდნენ. შეკრეს და სატუსაღოს გასაღებს დაეპატრონ ნ,

მთელ საღამოს მე გაუხდელი ვიწექი ჩემს ტახტზე და გულის ძგერით ველოდი ნიშნის მიღებას. უცებ ცხრა საათზე, როცა სავსებით ბნელოდა, ხერხის ხმა გავიგონე ჩემი საკანის ფანჯარასთან. დიდათ შევშფოთდი; პირველად მეგონა ამხანაგებს გიჟური აზრი მოსვლიათ, გადაუწყვეტიათ ამ გზით გამანთავისუფლონ მეთქი, ეს სრულიად ჩაშლიდა ჩემს გეგმას. ხმაურობა გაძლიერდა და ბოლოს დავრწმუნდი, რომ ეს ჩემი მეზობელი ყოფილიყო, რომელიც გაპარვას სცდილობდა. იგი ხერხავდა და ხერხავდა დაღონებით და გულმოდგინეთ და რამდენადაც მეტს მუშაობდა, მით უფრო ნაკლებ ამჩნევდა მის მიერ გამოწვეულ ხმაურობას.

სულით და გულით მინდოდა, რომ იგი განთავისუფლებულიყო, მაგრამ მეორე მხრით მეშინოდა, მისი ხერხი ყურადღებას მიიპყრობს და ჩემი გაქცევაც შეფერხდება მეთქი. უცებ შუაღამისას საშინელი ღრიანცელი ასტყდა. გაისმა ყვირილი, ძახილი. კარების მიხეთქების, ფანჯრების ჩალეწის და თოფის სროლის ხმა.

ჩემი საკანის კარები გაიღო და ამხანაგის ხმა შემომესმა: „მაქს, შენ თავისუფალი ხარ“. ზევით ავირბინე და დავინახე, რომ ერთი ზედამხედველი განთავისუფლებულიყო და რევოლვერს ისროდა მარჯვნივ და მარცხნივ. ჩვენ ქუჩაში გავარდით.

იქ აუწერელი ჩოჩქოლი ატყდა. მოსეირნე ქალ-ვაჟი დაფრთხნენ, ჩვენ გარშემო ბრბო შეგროვდა. მაგრამ ჩვენ ქუჩიდან განზე გადაუხვიეთ და უცებ დიდ პარკში ამოვყავით თავი. როცა პარკი გავირბინეთ, ფართო და ღრმა თხრილს წავაწყდით, წყალით იყო სავსე. უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, ფეხდაფეხ მდევარი მოგვყვებოდა. ზოგიერთმა ჩვენგანმა შესძლო თხრილზე გადახტომა, მე ღრმა ჭაობში ჩავარდი. მაგრამ ჩქარა ამოვცოცდი და ამხანაგებთან ერთად ჰანოვერისკენ გავიქეცი.

## სიამოვნებით ჩამომალრჩოგდნენ, მაგრამ ვერ შესძლეს

ციხიდან გაქცევის შემდეგ ჰანოვერში ორი დღე დავრჩი. შემდეგ ჰალლეში გავემგზავრე, იქ ამხ. ოიგენ შტაინერტი და ოტტო რიუჰლე დამხვდნენ. მეორე დღესვე საღამოს დიდი კრება გავმართე ლოინას წარმოებაში, სწორეთ იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინათ ჟანდარმებმა კინაღამ დამიჭირეს. ახლა კი ისინი არსად სჩანდნენ.

ჰალლედან ჩემს სამშობლო ფოხტლანდში დავბრუნდი, სადაც ხშირად ვიცვლიდი დასამალ ადგილს და ვცდილობდი ყოველი თავისუფალი წუთი იმ ძვირფასი ცოდნის შესავსებათ გამომეყენებია, რომელიც ოტტო რიულლეს ლექციებმა მომცა. თითქმის მთელი ჩემი ენერგია თვითგანვითარებისაკენ იყო მიმართული. მინდოდა ჩემი რევოლიუციური მგრძნობიარობისთვის მტკიცე მეცნიერული საფუძველი მიმეცა.

გაზეთებში ხშირათ ვკითხულობდი ფანტასტიურ ცნობებს ჩემს შესახებ: დღეს აქ ამოჰყო თავი, ხვალ იქაო, ამ და ამ ქალაქში კრებაზე ილაპარაკაო. რამდენჯერმე გაზეთებმა ჩემი დატუსაღება მაუწყა. ხოლო ერთხელ „ლაიფციგერ ნოისტე ნახრიხტენმა“ ჩემი დახვრეტაც. გერმანიის სხვადასხვა კუთხიდან ჩემს „დასაფლავებაზე“ გამოგზავნილ იქნა სამგლოვიარო წერილები და დეპეშები, აგრეთვე გვირგვინები და დელეგაციები.

მეგობრების გაფრთხილების მიუხედავად ერთ დიდ უმუშევართა კრებაზე გამოვედი და კარგა ხანს ვილაპარაკე. უცებ დარბაზში ჩემს დასაჭერათ ჟანდარმები შემოიჭრენ. გაისმა სროლა, საშინელი პანიკა ატყდა. როცა ჟანდარმები მომიახლოვდნენ, ერთმა ამხანაგმა ჯოხი შემოჰკრა ელექტრონის ხომლს. დარბაზი წყვდიადმა მოიცვა.

მინდოდა ტრიბუნიდან ჩამომხტარვიყავი და დარბაზიდან გავქცეულიყავი, მაგრამ რამდენიმე ჟანდარმმა ხელი მტაცა. წავიქეცი. ისინი ზევიდან დამაწვენ და თავში რევოლვერების დუმა დამიშინეს. ძუშები მოვარდნენ, გამანთავისუფლეს და თავს ვუშველე.

გარეთ პოლიციამ განაგრძო ჩემი დევნა, ქუჩაში ნამდვილი ბრძოლა ასტყდა და რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა. ბოლოს მე მრავალრიცხოვანი ბრბოს დახმარებით მაინც შევსძელი გაქცევა.

1919 წლის 22 ოქტომბერს კომუნისტურმა პარტიამ კრება მოიწვია ფალკენშტაინში. არ მინდოდა ამ კრებას დავსწრებოდი. საღამოს 8 საათზე, როცა კრება უკვე კარგა ხანია დაწყებული იყო, ადგილობრივი გაზეთის ახალი ნომერი მივიღე. შიგ ხელახლა განკარგულება იყო დაბეჭდილი ჩემი მოძებნისა და დატუსაღების შესახებ. ჩემი დაჭერისთვის დანიშნული პრემია კიდევ უფრო გაედიდებიათ. ამ გარემოებამ გამაღიზიანა, ძლიერი სურვილი აღმეძრა ადგილობრივი ფილისტერები, ჯაშუშები და ჟანდარმები შემეშფოთებია.

ამხანაგების და მეგობრების გაუფრთხილებლად, რადგან საჭირო იყო მკვირცხლად მოქმედება, მე ბაღის იხრიდან ფანჯარაში შევხტი და ტრიბუნაზე ავვარდი. ჩემმა ანაზდეულად გამოჩენამ აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალები ტიროდენ, ეშინოდათ ახლა კი უეჭველათ დაიჭერენო. საქმე ის იყო, რომ ჟანდარმერია იმ დღეებში გაეძლიერებიათ და დარბაზში დიდი რაზმი იდგა. მაგრამ მოკლე სიტყვის შემდეგ ხელახლა ფანჯარაში გადავხტი და მოვქუსლე. ამ ამბის შესახებ „ფოხტლენდიშე ანტაიგერი“ სწერდა: „კომუნისტი ჰელცი, რომლის დასაჭერათ, როგორც ცნობილია, დიდი თანხაა გადადებული, ჰანოვერში კი არ იმყოფება, არამედ ფოხტლანდში. იგი წარსულ ოთხშაბათს ფალკენშტაინში გამოვიდა და სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტების მიერ მოწვეულ კრებაზე. შემდეგ ხელახლა იმავე ღამის წყვდიადში გაჰქრა, საიდანაც ასე მოულოდნელად გაჩნდა. ქალაქის განაპირას ავტომობილი უცდიდა. სიბნელის გამოშ უძლებელი გახდა მისი გამოდევნება. კრებაზე კი მისი დაჭერა არ მოხერხდა, რადგან მთელი დარბაზი მისი მომხრეებით იყო სავსე“.

სამწუხაროთ არა თუ ავტომობილი, უბრალო ველოსიპედი არ მქონია. მხოლოდ კრებაზე განგებ განვაცხადე. უაზრობაა ჩემი გამოდევნება, მიტომ, რომ გარეთ შეიარაღებული ამხანაგებით სავსე ავტომობილები მიცდის მეთქი.

## „პოლიციაში ყოველივე წესრიგზეა“.

როცა გაზეთში ჩემი გაქცევის ამბავი წავიკითხე, გადავსწყვიტე პოლიციისთვის დამემტკიცებია, რომ უავტომობილოდაც ადვილად შემიძლია გაქცევა მეთქი. ორიოდე დღის შემდეგ ქალაქის ქუჩებში გავიარე შუადღისას. გამვლელები ჩერდებოდნენ. გაოცებული შემომცქეროდნენ და ალბათ ფიქრობდნენ ან მოჩვენებაა, ან ჰელცის ორეულიო. უცებ თვითმართველობის შენობისკენ შევუხვიე და პირდაპირ საპოლიციო უბანში შევედი; იქ რამდენიმე მოხელე იყო.—გამარჯვებათ, ყველაფერი წესრიგზეა? ვიკითხე მე ხმამაღლა. ეს რაღაც გიჟური თავხედობა იყო. მოხელეები იმდენათ გაშტერებული დარჩნენ, რომ ადგილიდანაც კი ვერ დაიძრენ. თავიანთ მხრითაც მომესალმენ და, როცა ერთხელ კიდევ ხაზგასმით ჩემი შეკითხვა გავიმეორე, ერთმა მათგანმა მიპასუხა: „დიახ, ყოველივე წესრიგზეა».—ძალიან კარგი! ვთქვი მე, მოვბრუნდი და გარეთ გაველი. ნელის ნაბიჯით გზას გაუდექი ყავახანისაკენ, რომელიც იქვე მახლობლად იყო მოთავსებული. ყავის დალევის შემდეგ ხელახლა ქუჩაში გამოვედი და ერთ ამხანაგს შევხვდი. ორიოდე სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარით, რომ ორი პოლიციელი მოგვიახლოვდა: მხრებზე ხელი დამადეს დატუსაღების ნიშნათ. მაგრამ ჩემმა ამხანაგმა საიდღანაც დიდი რეზინის ჯოხი ამოაძვრინა და პოლიციელები აიძულა დამხმარეებისთვის დაეძახნათ. ამასობაში ჩვენ გავქრით.

იმ დღესვე შემატყობინეს, პოლიცია თითქმის დარწმუნებულია, რომ საღამოს დახურულ, პარტიულ კრებაზე მიიღებ მონაწილეობასო. მართლაც საღამოს ცხრა საათისთვის სასტუმრო

ფოტო-შ. ფურცხვანიძის



კავკავი.—პროლეტარული ქუჩა.

*) გაგრძელება, იხ. „დროშა“ №№ 8, 9, 10.

სადაც ჩვენი პარტიული კრება უნდა შედგარიყო, ჟანდარმებით იყო გარსშემორტყმული პოლიციელები შეიჭრენ კრების პატარა დარბაზში, ყოველი კუთხე გაჩხრიკეს და დივანის ქვეშ შეცოცდნენ. იმ დროს ოციოდე მეტრის მანძილზე ვიყავი, მახლობელი ეკლესიის ბნელ ნიშში შეფარებული და თვალყურს ვადევნებდი ჟანდარმების ფუსფუსს.

ორი კვირის შემდეგ დაიჭირეს ამხ. პაულ პოპპი, რომელსაც პოლიცია ჩემ მთავარ „ადიუტანტათ“ სთვლიდა. ამხანაგებმა გადავსწყვიტეთ მისი განთავისუფლება. ყოველივე მზათ იყო; ჩვენ ღამით კიბის შემწეობით სატუსაღოს მთავარი ზედამხედველის დასაძინებელ ოთახში უნდა შევჭრილიყავით, გასაღები წაგვერთმია და სანამ იგი ორ ამხანაგს ეყოლებოდა დაჭერილ, პაულ პოპპი მისი საკანიდან გამოგვეყვანა და გაგვენთავისუფლებია.

## ვილაცას გული მისდის

სანამ ამ გეგმას განვახორციელებდით, გაჩნდა ერთი პოლიციის მიერ დევნილი საზღვარგარეთელი ამხანაგი, რომელმაც როცა ჩვენი განზრახვა გაიგო, განაცხადა:—დაიცათ, ამას მარტო მე შევასრულებ! იგი ესტუმრა ამხ. პოპპის ცოლს, რომელიც პოლიტიკურათ სრულიად ინდეფერენტული იყო, და გაეცნო როგორც მისი ქმრის ამხანაგი ომის ასპარეზიდან. ნამდვილათ ამხ. პოპპი თავის დღეში არ ენახა. მან ქალს უამბო ზღაპარი თავისი ტყვეობის შესახებ ინგლი ელებისა და ფრანგების მიერ. ახლა ტყვეობიდან განვთავისუფლდი, მაგრამ ჩემი ოჯახი ველარ მიპოვია, პაულ პოპპი კი ერთად ერთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია მათი ამბავი გამაგებინოსო. რადგან მას ძველი, ვიწრო და მოკლე სამხედრო ტანისამოსი ეცვა და სხვაფრივაც ბეჩავი გარეგნობა ჰქონდა, გულუბრყვილო ქალმა მისი ნათქვამი ადვილათ დაიჯერა. რადგან ქალს ქმართან ყოველდღე პური და ყავა მიჰქონდა სატუსაღოში, ახლადმოსულმა სთხოვა, თან წამიყვანე რათა, პაულთან გამოლაპარაკება შევსძლოო.

სატუსაღოში ზედამხედველს არ უნდოდა მისი შეშვება, მაგრამ აქაც მისმა მოთხრობამ სათანადო გავლენა მოახდინა. ტუსაღსა და ზედამხედველსა ერთი მხრით, ხოლო უცხო ამხანაგსა და ტუსაღის ცოლსა მეორე მხრით მძიმე რკინის მოაჯირი იყო. როცა პაულ პოპპი საკანიდან გამოვიდა, ამხანაგმა ზევით ხელები აიშვირა და წამოიძახა:—ეხ, პაულ, ნუ თუ ჩვენ ასეთ პირობებში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს! შემდეგ წაიქცა, თითქო გული წასვლოდეს.

პოპპს არაფერი ესმოდა, რა ხდებოდა. ზედამხედველს უნდოდა წაქცეულისთვის ეშველა და რკინის მოაჯირის კარი გააღო. იმავე წუთში უცხო ამხანაგი ზეზე წამოვარდა, ჯიბეებიდან ორი დიდი დამბაჩა ამოიღო და დაიყვირა: —აბა, ახლა თავს უშველე, პაულ! ორივე გაქრენ. სანამ ზედამხედველი გონს მოვიდოდა. ქალიც ერთხანს გაშტერებული იდგა თავისი სეყაველი.

## ბატონი რიჩელი გაილახა

ზედამხედველმა ქალი იმ წუთშივე დაატუსაღა და მისი ქმრის საკანში ჩაჰკეტა. იგი ფეხმძიმეთ იყო, სახლში რამდენიმე პაწია ბავშვი ჰყავდა დატოვებული, მათ შორის ერთი ძუძუმწოვარი ტყუპიც. მთავარმა მსაჯულმა რიჩელმა, რომელმაც წინათაც დიდი სისასტიკე გამოიჩინა მუშა ქალებისა და უმუშევრების წინააღმდეგ, მეორე დღესვე ავადმყოფი ქალი შებოჭილი და რვა ჟანდარმის თანხლებით პლაუენის სატუსაღოში გადააყვანია. ამ წარმოუდგენელმა ძალმომრეობამ ააშფოთა პოპპის განმათავისუფლებელი ამხანაგი. მან დაიფიცა, რიჩელს მოვკლავო. იძულებული გავხდით ძალით გაგვეყვანა ფალკენშტაინიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში თავის განზრახვას შეასრულებდა.

შევეცადეთ პოპპის ცოლი კანონიერი გზით გაგვენთავისუფლებია. თუ ეს ხუთი დღის განმავლობაში არ მოხერხდებოდა, შემდეგ ძალისთვის უნდა მიგვემართა. მაგრამ ერთი დამცველის შემწეობით ორიოდე დღის შემდეგ შევსძელით მისი სატუსაღოდან გამოყვანა

ერთ საღამოს მე ამხანაგთან ერთად სალ.ეირნოთ გავედი ქალაქს გარეთ. დიდი თოვლი იყო. უცებ გზა გადაგვიჭრა თხილამურიანმა კაცმა.—ეს ხომ მთავარი მსაჯული რიჩელია, ვუთხარი ჩემს თანმხლებს. ამხანაგი თხილამურიან კაცს დაეწია და დაუძახა:—თქვენ უფროსი მსაჯული რიჩელი ბრძანდებით?—დიახ, უპასუხა უცნობმა:—რა გნებავთ? მაშინვე ორივენი ვეცით, მიწაზე დავსცით და იმდენი ვურტყით, სანამ სრულიად არ მივბნიდეთ. ჩვენ კრინტი არ დაგვიძრავს, მხოლოდ რიჩელი, რომელიც კარგათ გრძობდა თუ რისთვის სცემდნენ, ლუღლუღებდა: მე არაფერს შუაში ვარ, გარწმუნებთ არაფერ შუაში ვარ“.

ამ ამბის შემდეგ ის იყო, რომ რიჩელი რამდენიმე კვირით საავადმყოფოში დაწვა და შემდეგ სხვაგან გადაყვანა ითხოვა.

ორიოდე თვე გავატარე ჩემს სამალავში. შემდეგ ორგანიზაციის სურვილის თანახმად აგიტაცია დავიწყე ფოხტლანდსა და ჩრდილო ბავარიაში.



**ამხ. მაქს ჰელცი**

**გრიმში, ბერლინში არალეგალური ცხოვრების დროს.**

პირველად სამრეწველო ცენტრსა, ვერდაუში გამოვედი. პროფესორ ლერმონტოვის ფსევდონიმით შემდეგ თემაზე ვილაპარაკე: „რას მოგვიტანს კომუნიზმი—თავისუფლებასა და პურს თუ სილარიბესა და გაჭირვებას .

ადგილობრივ მასებში დაბეჭდილი განცხადებიდან არ სჩანდა კომუნისტური თუ ანტიკომუნისტური უნდა ყოფილიყო ჩემი მოხსენება. ქალაქის დიდი დარბაზი გაიჭედა ნაწილობრივ მუშებით, ნაწილობრივ გავლენიანი მოქალაქეებით: პირველ რიგებში ქალაქის თავი, საბჭოს წევრები და სხვა „პატივსაცემი“ პირები ისხდნენ. რქის ბუდიანი სათვალე გავიკეთე და მთელი საათი ვილაპარაკე. მხოლოდ კრების დასასრულს ოდნავ ნიღაბი მოვიხსენი და დამსწრეებს ვაგრძნობინე ვინც ვიყავი.

კეთილგონიერმა მოქალაქეებმა, უწინარეს ყოვლისა ქალაქის თავმა, იმ წუთშივე დარბაზი დასტოვეს; სამაგიეროთ პოლიცია გაჩნდა. ამხანაგებმა კათედრიდან გამიტანეს და ბაწრის კიბით უკანა კედელზე ჩამაცოცეს. მაგრამ კიბე მოკელე აღმოჩნდა და იძულებული გავხდი რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან ჩავმხტარიყავი; ფეხი ვიღრძე, ამან რამდ ნიმე კვირა გამაწვალა.

ვერდაუდან ბავარიაში გავემგზავრე, ქალაქ ზელბში, სადაც კრება იყო დანიშნული. იგი წყნარად ჩატარდა. ბავარიელმა ჟანდარმებმა ვერ გაბედეს ამოდენა ხალხში ჩემი დაპატიმრება. იფიქრეს ამას უკეთ მოვახერხებთ კრების შემდეგო და გასავალი შეკრეს. მაგრამ კრების შენობიდან ისე გავქრი, თითქო უჩინმაჩინის ქუდი მხურებოდეს. როცა მეორე დილით ერთ ამხანაგთან ერთად სადგურზე გავედი, შევამჩნიე, რომ გადაცმულ ჟანდარმებს ყველა შესავალ-გასავალი დაეჭირათ. ნაღრძობი ფეხი სიარულს მიშლიდა. ბილეთის ყიდვის დროს ვიგრძენი, რომ მდევრები მითვალთვალებდნენ, რათა მე და ჩემი თანამგზავრი ვაგონში შევსულიყავით: იქ თითქო თაგვის ხაფანგში ვიქნებოდით მომწყვდეული. არაფერი შევიმჩნიე, თავი ისე დავიჭირე, თითქო მატარებელში ვემზადებოდი ჩასაჯდომათ. მაგრამ იმ წუთში, როცა მატარებელი სადგურში შემოგრიალდა. მე და ჩემმა თანმხლებმა ლიანდაგზე გადავირბინეთ და უახლოეს ტყეში ვკარით თავი. ჟანდარმებმა ჩვენი გაქცევა ჩქარა შეამჩნიეს და ნამდვილი ნადირობა გამართეს, რაიცა საღამოს შვიდ საათამდი გაგრძელდა. ეს იყო 1920 წლის მარტში. ტყეში კიდევ დიდი თოვლი იდო. მთელი ის კუთხე ფეხზე დადგა. ტყიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო: როგორც კი თავს გამოვყოფდით, მაშინვე პოლიციელის მუზარადს მოვკრავდით თვალს. გარშემო ქვეითი, ცხენოსანი და ველოსიპედიანი ჟანდარმები გვერტყა. საპოლიციო აპარატი კარგათ მუშაობდა. ჩვენი გიდარჩენა შეუძლებელი იქნებოდა, თუ ხშირ ტყეს არ დავეფარეთ ჩვენი მდევრებისაგან.

## ყუმბარამ მიხსნა

უკვე ბნელოდა, როცა მშიერი, დასველებული და დაღლილი ობერკოცაუში მივედით. დაზიანებული ფეხი გამისივდა და ისე მტკიოდა, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვკვნესოდი. ობერკოცაუში ერთმა ამხანაგმა მიგვიღო, მისგან გავიგეთ, რომ ბერლინსა და სხვა ქალაქებში მონარქისტმა ოფიცრებმა აჯანყება მოახდინესო.

ფანტასტიური ხმები გავრცელდა. ცხადი იყო მხოლოდ, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა და ამიტომ მუშებს განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა გამოგვეჩინა.

გადავწყვიტე ობერკოცაუდან ჰოფში წავსულიყავი რკინის გზით, რათა იქ ახალი ამბები გამეგო. სადგურის შესავალში ჟანდარმი იდგა, მან მე და ჩემი თანამგზავრი ყურადღებით აგვათვალიერა და შემდეგ სადგურის შენობაში გაჰქრა. ძლივს მოვასწარით შესვლა, სადაც უკვე თხუთმეტიოდე მგზავრი იჯდა რომ ორი ჟანდარმი შემოვიდა: მომთხოვეს მათ გავყოლოდი. მე უარზე დავდექი. ცხარე შელაპარაკების შემდეგ გავიდნენ; არ გასულა ორი წუთი და უკან დაბრუნდნენ ჟანდარმების მთელი რაზმითურთ. დაჭერა დამიპირეს.

ჯიბეში მუდამ ხელით სასროლ ყუმბარას ვატარებდი, ელვის სისწრაფით ამოვიღე და დავიძახე:—როგორც კი ვინმე ხელს მახლებს, მთელი ვაგონი აფეთქდება მეთქი. მე უკან აღარ ვიხევდი უკიდურესი ღონისძიების წინაშე. შეუძლებელია იმ არევ-დარევის და პანიკის აწერა, რომელიც ჩემმა სიტყვებმა გამოიწვია. მგზავრები ფეხზე წამოცვინდნენ და წივილ-კივილით კარებს ეცენ, ჟანდარმები ყველაზე წინ გარბოდნენ; ამასთანავე გაიძახოდნენ:—ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ! რამდენიმე წუთის განმავლობაში ვაგონი დაცარიელდა და მე ჩემის ყუმბარით მარტო დავრჩი: თვით ჩემი თანმხლებიც სადღაც გამქრალიყო. ბარიერზე გადავხტი და თავს ვუშველე. სადღაც ბაღის ღობეზე მომიხდა გადახტომა, ჩამოვეკიდე და ცოტაც არ ინაღამ ყუმბარა არ გამიკსდა და უაზროთ ჰაერში არ ავფრინდი.

ჩემი გასიებული ფეხი საშინლათ მტკიოდა და ჰოფამდე ძლივს მივჩანჩალდი. იქ დაწვრილებით გავიგე მონარქისტ-ოფიცრების ამბოხების ამბავი.

## ბრძოლა კაპპის ამბოხების დროს

ამ რიგად გამართლდა ის, რაც კომუნისტურმა პარტიამ კარგა ხნის წინათ იწინასწარმეტყველა და რაზეც იგი მუდამ მიუთითებდა მუშებს, რათა მათი სიფხიზლე არ მოდუნებულიყო. ამ პირობებში არ მინდოდა და არც შემეძლო ჰოფში დავრჩენილიყავი. მთელი ჩემი არსებით ფოხტლანდისკენ მივისწრაფოდი, რათა

სანდო და ბრძოლაში გამოწრთობილ მუშებთან და ამხანაგებთან ერთად თავდაცვა მომეწყო დიდი მასშტაბით. ჰოფიდან ფალკენშტაინში რკინის გზით წასვლა სიგიჟე იქნებოდა, მიტომ რომ ყველა სადგური და მატარებელი ბავარიელი ჟანდარმებით იყო სავსე, მათ ხელიდან ველარ გავსხლტებოდი. მაშასადამე უნდა შემეცადა ფოხტლანდში ქვეითათ დავბრუნებულიყავი.

დიდის გაჭირვებით ვათრიე ჩემი ნაღრძობი ფეხი ხუთი საათის განმავლობაში. არაქათი გამომელია. ფეხი უფრო და უფრო მისივდებოდა. გზაზე ერთი სასადილოს პატრონს ფული შევსთავაზე, რომ საბარგო ეტლით ოლნიცამდე მივეყვანე ფოხტლანდში. როცა საღამოს ოლნიცში მივედით, მეგობრებმა საბარგო ეტლიდან ხელით გადმომიღეს და სახლში შემიტანეს. მეორე დილით მოვითხოვე ფალკენშტაინში წამიყვანეთ მეთქი. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ ამხანაგებმა უარი მითხრეს. მაგრამ ავტომობილი ვიშოვე, დიდი საფასური გავიღე და შუადღისას ფალკენშტაინში აძოვყავი თავი.

განაიარაღეთ თუ არა რაიხსვერი?. *) ვიკითხე მისვლისთანავე. ვიცოდი, რომ ფალკენშტაინში ჯარი იყო დაბანაკებული, რომელიც მე მეძებდა. ერთმა ამხანაგმა მითხრა, ზოგიერთი ჩვენგანი რაიხსვერის განიარაღების მომხრე იყო, მაგრამ სხვა ამხანაგებმა წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მიტომ, რომ ამას ძნელათ შესასრულებელ საქმეთ სთვლიანო.

დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, სწრაფათ უნდა ჯვემოქმედნა. მოვითხოვე, საჩქაროთ თავი მოეყარათ ყველა იქ მყოფი ამხანაგისთვის, რათა რაიხსვერს მოულოდნელათ თავს დავსხმოდით და იარაღი აგვეყარა. მაგრამ სანამ ამხანაგები შეიკრიფებოდნენ, რაიხსვერი ქალაქიდან გავიდა ზემოდან მოსული ბრძანების თანახმად. იგი ტიურინგიაში უნდა წასულიყო იქაური ჯარის მისაშველებლათ, რომელსაც უკვე ცხარე ბრძოლა ჰქონდა გამართული მუშათა რაზმებთან. საშინელმა გულისწყრომამ მომიცვა, როცა ეს ამბავი გავიგე: ვსწყევლიდი და ვლანძღავდი ჩემს მოდუნებულ ამხანაგებს. დაუყონებლივ ჯარის მთავარი სადგომისკენ გავიქეცი, იქ რამდენიმე საბარგო ავტომობილი იდგა ბენზინით დატვირთული, რაიხსვერის პატარა რაზმი იცავდა. ჯარის უდიდესი ნაწილი უკვე გასულიყო ქალაქიდან.

ექვსი ამხანაგის დახმარებით გავაიარაღე უკან ჩამორჩენილი ჯარისკაცები და დავეპატრონე ბენზინსა და ავტომობილებს. ამ რიგათ რამდენიმე თოფიც შევიძინეთ, მაგრამ ერთი ჯარისკაცი ხელიდან გაგვისხლტა, მიმავალ ჯარს დაეწია და ყოველივე უამბო. ჯარი მაშინვე უკან დაბრუნდა. კოშკის მახლობლად ბრძოლა გაიმართა მუშებსა და ჯარისკაცებს შორის. პირველათ რამდენიმე ჯარისკაცი გავაიარაღეთ, მაგრამ შემდეგ იძულებული გავხდით უკან დაგვეხია და გავფანტულვიყავით, რადგან როგორც რიცხვისა, ისე შეიარაღების მხრით უპირატესობა ჯარის მხარეზე იყო.

გააფთრებული დევნა დაგვიწყეს. არასოდეს ჩემს სიცოცხლეში იმდენი არ მირბენია. ამ გიჟურ სირბილის დროს ფეხი თითქო გამიმრთელდა. როცა მდევრებს თავი დავაღწიე და აუერბახში მივედი, ვიგრძენი, რომ ფეხი აღარ მტკიოდა.

ქუჩაში ორიოდე მუშა შემეყარა, ვკითხე რა ღონისძიებას ღებულობთ მონარქისტული აჯანყების ჩასაქრობათ მეთქი. მიპასუხეს, აი სწორეთ ამ წუთში მუშათა საბჭოს დიდი კრება ჰყავს მოწვეულიო. მაშინვე იქით გავემართე. სანამ შენობას მივაღწევდი, დავინახე, რომ კრება დასრულებულიყო და ხალხი უკვე გარეთ გამოდიოდა. შევსძახე: უკან დაბრუნდით დარბაზში, მე მუშებისათვის მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი მეთქი.

*) რაიხსვერი ჰქვია ჯარს, რომელიც „შინაური წესრიგის“ დასაცავად გერმანიას დაუტოვა გამარჯვებულმა ანტანტამ. იგიც ნახევრათ პოლიციის როლს ასრულებს.

რედ.

## მუშები იარაღდებიან

ერთ წუთში უზარმაზარი დარბაზი ხელახლა აივსო, სიტყვა ავიღე და მოვითხოვე ქალები გასულიყვნენ. ამ მოთხოვნამ დიდი შეშფოთება გამოიწვია; ქალებმა დარბაზი დასტოვეს. კარები ჩავაკეტიე, დარაჯებიც დავაყენე, რათა სრული საიდუმლოება ყოფილიყო დაცული. მაშინ მუშებს შევეკითხე, მითხარით რა გადაწყვეტილება ადგიხართ მეთქი. საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება გადაეწყვიტათ, სხვაფრივ დაცდას ამჯობინებდნენ. მე განვაცხადე:—ეს არ კმარა არავითარ შემთხვევაში, მდგომარეობა მეტათ სერიოზულია, ლოდინი კი არა, დაუყონებლივ მოქმედებაა საჭირო. სხვა ადგილებში მუშები უკვე ებრძვიან რაიხსვერს, ჩვენ გულგრილათ როდი უნდა ვუცქიროთ ამ ბრძოლას, არამედ შევიარაღდეთ და ამხანაგებს მივეშველოთ.

ჩემს სიტყვებს დიდი აღტაცებით შეხვდნენ. მაშინვე წინადადება შევიტანე ჟანდარმთა სამმართველოში შევჭრილიყავით, ჟანდარმები გაგვეიარაღებია და შემდეგ იერიში მიგვეტანა ფალკენშტაინში დაბანაკებულ რაიხსვერზე. ჩემი წინადადება მიღებულ იქნა. ყოველი ღონისძიება მივიღე, რომ ჟანდარმებს ნაადრევათ არ გაეგოთ ჩვენი განზრახვა.

დიდათ შეშფოთებული სახე ჰქონდათ ჟანდარმებს, როცა ფანჯრებიდან გადმოიხედეს და სამძართველოსთან ორი ათასი კაცი დაინახეს თავმოყრილი. იგრძნეს, საქმე ცუდად იყო და ბარიკადები გამართეს ჭიშკრებთან და კარებთან. იძულებული გავხდით შესავალი ნაჯახებით და ცულებით შეგველეწა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროს რამდენიმე ჟანდარმი მსუბუქათ დაიჭრა; ზოგიერთმა იარაღი თავისი ნებით ჩაგვაბარა, სხვები ძალით გავაიარაღეთ. მრავალ კარაბინს გარდა, ხელით სასროლი ყუმბარებით სავსე ყუთები და ტყვიის მფრქვევლები ჩავიგდეთ ხელში. ჟანდარმები დავატყვევეთ და თან გავიყოლიეთ.

ერთი საათის შემდეგ რამდენიმე ამხანაგი ჩავსვი ჩამორთმეულ ავტომობილში და ფალკენშტაინის კოშკისკენ გავისტუმრე, რათა ულტიმატუმი გადაეცათ ჯარის უფროსისთვის: ეხლავე იარაღი აიყარეთ, თორემ ყოველი მხრიდან მუშები ალყას შემოარტყამენ ფალკენშტაინს მეთქი.

ულტიმატუმის საპასუხოთ ჯარის უფროსმა ჩვენი მოციქულები დაატუსაღა, ავტომობილი დაიტოვა, ხოლო აუერბახისკენ დიდი რაზმი გამოგზავნა ჩვენთვის იარაღის ასაყრელათ.

## მუშების ბრძოლა ნოსკეს დამქაშებთან

იმავე ღამეს აუერბახში ცხარე ბრძოლა გაიმართა, რომელსაც ჩვენთვის დიდი ზიანი არ მოუყენებია: მხოლოდ რამდენიმე ამხანაგი დაგვეჭრა. რაიხსვერის ტყვიამ მოჰკლა ერთი მოიჯარადრე, რომელიც პერანგის ამარა ამდგარიყო და ფანჯარაში გამოეხედა.

ნოსკეს დამქაშების შემოტევა უკუქცეულ იქნა და ჩვენ გადავსწყვიტეთ მკაცრი ზომებისთვის მიგვემართა. აუერბახი დავსტოვეთ და სხვადასხვა მხრიდან ფალკენშტაინისკენ გავსწიეთ. მაგრამ მტერმა იყნოსა საფრთხის მიახლოება. როცა ავტომობილებით ფალკენშტაინში შევიჭერით, ბუდე უკვე ცალიერი აღმოჩნდა. ჯარს უკან დაეხია ქალაქ პლაუენისკენ, რათა იქაურ ათასეულს შეერთებოდა.

ჩვენ არ დავკმაყოფილდით მიღწეული გამარჯვებით, მით უმეტეს როცა გავიგეთ, რომ მთელს გერმანიაში, განსაკუთრებით რურის ოლქში მუშები გააფთრებით ებრძვიან კაპპის და ტუტვიცის ჯარებსო. ჩვენ არ დავიჯერეთ კაპპის დამარცხების ამბავი და გადავსწყვიტეთ იარაღი არ დაგვეყარა, სანამ რურის ოლქში რამდენიმე ასი ათასი მუშა მედგარ ბრძოლას აწარმოებდა კონტრრევოლიუციის წინაამდეგ.

მთელ ფოხტლანდში პუნქტები გავმართეთ წითელი არმიის მოსაწყობათ. ყოველი კუთხიდან რევოლუციონერი მუშები მოგვაწყდნენ, ჩვენ ისინი შევაიარაღეთ და დავრაზმეთ. რადგან წითელი ჯარის გამოსაკვებათ ფული იყო საჭირო, პლაკატებით კაპიტალისტებსა და ომის სპეკულიანტებს მოვუწოდეთ დანიშნულ ადგილას თავი მოეყარათ. დარბაზში უკვე სამოციოდე სქელჯიბიანი კაცი იჯდა, როცა უიარაღოთ, მხოლოდ ერთი ამხანაგის თანხლებით შევედი და ვიკითხე, გსურთ თუ არა ჯერჯერობით 45 ათასი მარკა გვაძლიოთ კვირაში წითელი ჯარის საჭიროებისათვის მეთქი. რამდენიმე წუთი მთხოვეს მოსაფიქრებლათ.

მოილაპარაკეს და გამიცხადეს, მზათ ვართ არსებულ ძალთა განწყობილებას დავემორჩილოთ და აღნიშნული თანხა მოგაწოდოთო. მხოლოდ სურვილი გამოსთქვეს, რაკი ჟანდარმერია, პოლიცია და მთავრობის ორგანოები განიარაღებული იქნებიან, წითელმა გვარდიამ იზრუნოს წესრიგის დასამყარებლათ და ძარცვა-გლეჯის თავიდან ასაცილებლადო. ამას ჩვენი საკუთარი ინტერესიც მოითხოვდა. ჩვენ ვსცდილობდით უწმინდურ ელემენტებს არ შეებლალათ რევოლიუციის დროშა.

(გაგრძელება იქნება)

**მაქს ჰელცი.**

## მოწამეთას კირის ქარხანა



მოწამეთას კირის ქარხანა ამუშავდა თებერვლის პირველ რიცხვებში. ამუშავების დღიდან ქარხნის სხვადასხვა მოწყობილობებს არ გამოუმჟღავნებიათ რაიმე მნიშვნელოვანი დეფექტი.

ქარხნის საალმშენებლო სამუშაოები შეასრულა ხარკოვის სახელმწიფო საალმშენებლო საზოგადოებამ „ტრუბოსტროიმ“. ჯერ-ჯერობით კირის ქარხანა ოფიციალურათ არ მიუღია ს. მ. უ. საბჭოს.

ამჟამად „ტრუბოსტროი“ აწარმოებს მუშაობას იმ მიზნით, რომ გადიდებული იქნეს ყოველდღიური პროდუქცია. ს. მ. უ. ს. გეგმით ქარხანამ ყოველდღიურათ უნდა დაამზადოს 2200 ფუთი კირი.

სურათზე—მოწამეთას კირის ქარხანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარავთა ქალაქი

## ე. ხუციშვილი

ამ რამოდენიმე თვის წინად აქ იყო გაშლილი, მწვანედ მობიბინე მინდორი.

ახლო-მახლო სოფლებიდან მწყემსები აქ აძოვებდნენ საქონელს. მეფობდა სიწყნარე, რომელსაც დროგამოშვებით არღვევდა მწყემსის სალამურის ხმა, საქონლის ბღავილი და მატარებლის საყვირის ხმა.

ეხლა კი სურათი შეიცვალა.

ახლა კი უზარმაზარი მინდორი, გადაჭიმული რამდენიმე კილომეტრის მანძილზე, დაფარულია კარვებით, რომლებიც თეთრათ ელვარებენ ზაფხულის მზეზე.



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

**ბანაკის ბიბლიოთეკაში**

ოდესღაც წყნარი მიდამო დღეს სცოცხლობს: დილიდან მოყოლებული მზის ჩასვლამდე ბანაკის არე-მარე წარმოადგენს ადამიანთა „სკას“, სადაც დაფუსფუსებენ ასეული წითელ არმიელები. ისმის ჟრიამული, ხმა-მაღალი ძახილი, სიმღერა.

გაკვირვებით უმზერენ კარავთა თეთრ ქალაქს შორი მთიდან ჩამოსული თუშები და მთიულები, უჩვეულოა მათთვის ეს სურათი: მრავალჯერ ჩაუვლიათ მათ ამ მინდვრის გვერდით, შეუსვენებიათ აქ, ხის ჩრდილში, ყველით და კარაქით დატვირთული პატარა, მთის ცხენები. დღეს კი სულ სხვაა; დაირღვა მთებს შუა მდებარე მინდვრის სიწყნარე, კარავთა ქალაქი დამკვიდრდა აქ.

***

სინათლეა. მზემ ამოყო თავი და თავისი პირველი სხივები სტორცხნა თეთრად შელესილ კავკასიონს.

გამოიღვიძა ბუნებამ. ახმაურდა არე-მარე. გაისმა ფრინველების ჟრიამული და მხიარული სტვენა.

შორით მოისმის ურმების ჭრიალი: ეს გლეხები მიდიან მინდვრათ სამუშაოდ.

დილის ბუკმა გაარღვია ჰაერი და გამოაღვიძა ბანაკი.

ამოძრავდა კარავთა ქალაქი.

თეთრ კარვებიდან გამოიშალენ არმიელები ნამძინარევი სახეებით და შეუდგენ პირის ბანას.

ჯერ გრილა. ნამის წვეთები ალმასებივით ელვარებენ ბალახზე. არმიელები მხიარულად იბანენ პირს ცივი, ანკარა წყალით. აგერ, ერთ არმიელს გაუხდია პერანგი, ტანზე ისხურებს წყალს და თან გაიძახის

— ძალიან კარგია დილით ცივ წყალში ბანაობა—ჯანის სისაღეა.

მას პირსახოცით ხელში შეჭყურებს მისი ამხანაგი, ეტყობა გულით უნდა მიჰბაძოს მობანავე არმიელს, მაგრამ, ეშინიან დილის სიცივის და კმაყოფილდება მარტო ცივი წყლის შესხმით პირზე.

არმიელები მორჩნენ პირის დაბანას. იწყება კარავების დალაგება - დასუფთავება, სწრაფად ასრულებენ არმიელები ამ საქმეს. ანაზდეულათ სწორდება ლოგინი, იგვება კარავი და ახლო-მახლო მიდამო.

— ამოკითხვაზე! ისმის მორიგის რიხიანი ძახილი. არმიელები მწკრივად დგებიან კარვების წინ—ხაზზე.

იწყება ამოკითხვა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, იქვეა თუ არა ყველა არმიელი.

ეხლა საჭიროა ძარღვების გაშლა, რომლებიც მოდუნდნენ ცოტათ თუ ბევრად ძილის დროს, საჭიროა ენერგიის დაგროვება კუნთებში და აი, იწყება დილის ნავარდი, როგორც უწოდებენ დილის ვარჯიშს არმიელები.

სასიამოვნოა ამ დროს ბანაკის ნახვა: რამოდენიმე ათასი არმიელი მწყობრად, ლამაზად ასრულებს ვარჯიშის სხვადასხვა სახეს, რიტმიულად ამოძრავებს სხეულს და ხელებს.

მოთავდა ვარჯიში და შემდეგ საუზმე.

ეხლა იწყება ბანაკად სერიოზული საქმიანობა.

***

არმიელები დაყოფილი ჯგუფ-ჯგუფად გაიშალნენ მინდვრათ და მოეწყვენ სამეცადინოთ.

დაიწყო პოლიტმეცადინეობა.

ჯგუფის ხელმძღვანელი წიგნით ხელში უხსნის არმიელებს მორიგ გაკვეთილს.

აი, პატარა ხევის პირას, რომელშიაც ჩამორბის მთის ანკარა წყალი, მეცადინეობს ერთი ჯგუფი. ამ ჯგუფში არიან კახელი ახალგაზრდები, სიღნაღიდან. ხელმძღვანელმა გაათავა ახალი გაკვეთილის ახსნა და შეუდგა გამეორებას, რა-



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

**სროლა ტყვიამფრქვევლებიდან**

თა არმიელებს არ დაავიწყდეთ შეთვისებული ცოდნა.

ბოდბისხეველი ბათიაშვილი, ეხლა № ლეგიონის წითელი-არმიელი, რომელიც ჯარში გაწვევამდე შირაქის ველზე ყარაულობდა ცხვრის ფარას და რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა პოლიტიკაზე, ეხლა თამამად აძლევს პასუხს ხელმძღვანელის ყოველ შეკითხვაზე.

ტყუილად მოისურვებს ვინმე დაიჭიროს ბათიაშვილი რომელიმე შეცდომაში. არა, მან უკვე კარგათ იცის, თუ რისთვის არის გაწვეული წითელი არმიის რიგებში და რა მოვალეობა დააკისრა მას ხელისუფლებამ, როგორც წითელ მებრძოლს. ბათიაშვილმა იცის კარგათ, თუ როგორ უნდა მოიქცეს არმიელი ქალაქში ყოფნის დროს, როცა მას გაუშვებენ მოკლევადიან შვებულებაში მეცადინეობის გათავებისას, ისიც იცის, თუ რაზე უნდა ესაუბროს გლეხობას, როდესაც დაბრუნდება სოფელში.

მრავალმა არმიელმა აქ, ბანაკად გაიცნო კომუნისტური პარტიის ისტორია და მისი საქმიანობა. აქ გაიცნეს მათ ის დიდი საქმე, რომელიც შეასრულა ამ პარტიამ და რომელსაც იგი ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში.



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

**არტილერისტები**

და როცა მოთავდება პოლიტმეცადინეობა, არმიელები მიეშურებიან იმ კარავისაკენ, სადაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა და მიმართავენ ბიბ-გამგეს თხოვნით მოუძებნოს მან ისეთი წიგნი, სადაც აღწერილია ლენინის ცხოვრება.

***

კვლავ ისმის ბუკის ხმა.

პოლიტმეცადინეობა დამთავრდა. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ დაიწყება სამწყობრო მეცადინეობა.

სახალისოა მეცადინეობა მინდვრათ, სუფთა ჰაერზე.

ყოველივე წვრილმანს საუკეთესოთ ითვისებენ არმიელები გაშლილ მინდორზე, რომელსაც ირგვლივ თავს დაჭყურებენ ტყით შემოსილი მთები.

დაღლილობას არც კი იმჩნევენ არც მეთაურნი, არც არმიელნი.

გაშლილ მინდორზე ნახავთ ყველა სახის მეცადინეობას.

აი აქ არმიელები ეცნობიან ზარბაზნებს

ძრისხანედ გაშოიყურებიან პირდაღებული ზარბაზნები, რომელთა ყუმბარა ბრძოლის დროს ანადგურებს ყველაფერს, რაც კი დახვდება გზაზე. არტილერისტი არმიელები სწავლობენ ზარბაზნების მოხმარებას, ეცნობიან მის ნაწილებს, დამიზნებას.

ადვილი არ არის არტილერიაში სამსახური არტილერისტი უეჭველად უნდა იყვეს წერა-კითხვის კარგათ მცოდნე, ჯან-ღონით სავსე, უნდა ჰქონდეს საუკეთესო მხედველობა, სმენა.

და მართლაც, ყოველი არტილერისტი არმიელი საუკეთესოდ გამოიყურება. ჯან-ღონიანი ჩიჭებია თავმოყრილი აქ. აგრე ადვილათ არ





საზაფხულო ბანაკი

ფოტო-შ. ფურცხვანიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტოვებენ ესენი ბრძოლის ველს; კარგად იციან მიზანში ამოღებაც,

არა ნაკლები ბიჭები არიან ცხენოსნებიც, რომლებიც მეცადინეობენ გალმა, ბანაკის აღმოსავლეთით. მარჯვედ მართავენ ცხენებს და კოხტადაც არიან გამოჭიმულნი უნაგირზე.

ქვეით, იქით, საითკენაც იმზირებიან კარავები, არმიელები სწავლობენ შაშხანა თოფის მოხმარებას და აკეთებენ სხვადასხვა სახის ვარჯიშს შაშხანით.



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

## პოლიტმეცადინეობა

აქ განუწყვეტლივ ისმის მეთაურების ბრძანება. „მარცხნივ“, „მარჯვნივ“, „დაწექით“ „სროლა მუხლით“ და სხვა.

მეტყვიამფრქვევენი კი ჩაჰკირკიტებენ ტყვიამფრქვევებს, სწავლობენ მის რთულ მოწყობილობას, იღებენ მიზანში შორეულ საგნებს და თან ყურს უგდებენ ათეულის უფროსის ახსნა-განმარტებას.

— შენ იცი, უამბობს ერთი მეტყვიამფრქვევე თავის ამხანაგს, 1-ლ ლეგიონში იყო მეტყვიამფრქვევე ვანიძე. მოსკოვში თურმე შეჯიბრება ყოფილა მთელი არმიის ნაწილების მეტყვიამფრქვევებისა. გაუგზავნიათ იქ ვანიძეც.

როცა მასზე მიდგა სროლის ჯერი, მიაყენა ტყვიამფრქვევი და სამიზნე ფიცარი შუა გულში ტყვიით გადასჭრა, ისე, როგორც სამართებლით.

ამ ლაპარაკს უერთდებიან სხვა არმიელებიც და იწყება საუბარი მეტყვიამფრქვეეთა ცხოვრებიდან; იგონებენ სხვა და სხვა ამბებს ნახულს და გაგონილს და, ეტყობა, ყველას უნდა გულში, რომ იცოდეს საუკეთესო სროლა ტყვიამფრქვევიდან.

***

ახლოვდება სადილობა.

მზემ საკმაოდ მაღლა აიწია. ჩამოცხა.

მოშივდათ არმიელებს. უნებურად იმზირებიან იქითკენ, სადაც იხარშება სადილი საველე სამზარეულოში.

ჯერ კიდევ მზად არ არის მკვიდრი სამზარეულოები ბანაკად და არმიელების სადილი დროებით იხარშება მოძრავ ქვაბებში.

სრულ სამ საათზე ბუკმა მიიწვია არმიელები სადილათ.

გათავდა მეცადინეობა ველად. ეხლა შეიძლება დასვენება საღამომდე.

მაგრამ ვერ დაისვენებს ის, ვინც არ იცის წერა-კითხვა. ასეთები კი, სამწუხაროდ მრავლად არიან ბანაკად. მათ ბანაკად ყოფნის დროს უნდა შეისწავლონ წერა-კითხვა.

სირცხვილიც იქნება, რომ არმიელი სოფლად დაბრუნდეს უცოდინარი. ს ხ ვ ა რომ არა იყვეს რა, მეზობლები დ ა ს ც ი ნ ე ბ ე ნ. ამიტომაც, ისინი, ვინც არ იცის ჯერ წიგნის კითხვა, ჩასჩერებიან მსხვილ ასოებით დაბეჭდილ წიგნს და ასო-ასო კითხულობენ „წითელი არმია — მშრომელთა დამცველია“.

***

„კულტურული ბანაკი“

ასეთი ლოზუნგით დაიწყო ქართულ წითელ ჯარში წრეულს სამზადისი ბანაკობისათვის.

ერთი ნაწილი მეორეს ეჯიბრებოდა ბანაკის საუკეთესოდ მოწყობაში.

წითელარმიელები და მეთაურები ცდილობდნენ, რაც შეიძლება ლამაზად მოეწყოთ საზაფხულო ბინები, რომ შეექმნათ საუკეთესო პირობები მეცადინეობისათვის.

ამ ცდამ ტყუილად არ ჩაიარა.

დღეს ქართულ წითელ ჯარს, როგორც საკადროს ისე ტერიტორიალურს, აქვს საუკეთესოდ მოწყობილი ბანაკები.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ბანაკების მოწყობა.

ეს ითქმის, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიალური დივიზიის კარავთა ქალაქზე.

№ ლეგიონის შტაბის უფროსი და პოლიტ. ხელები გრძელი ბაწარით ზომავდნენ ვეებერთელა მიწის ნაკვეთს და აქა-იქ ასობდნენ მიწაში პალოებს.

—აქ,—სთქვა შტაბის უფროსმა,—უნდა დავსდგათ ლენინის კარავი ლეგიონის მასშტაბით.

ეს კარავი იქნება მოზრდილი. იქ მეცადინეობის გათავებისას თავს მოიყრიან არმიელები და მეთაურნი და კულტურულ გართობებში გაატარებენ დასვენების დროს.

კლუბები, კინო, რადიო—ეს ყველაფერი არის ბანაკში.

თუ ძველად მეფის ჯარი გადიოდა ბანაკში იმისათვის, რომ ოფიცრობას ტკბილად გაეტარებინა დრო ბუნების წიაღში, დღეს წითელი ჯარი ბანაკად გადის იმისთვის, რომ იქ მინდვრად, უფრო განამტკიცოს თავისი სიძლიერე და გააბას მჭიდრო კავშირი გლეხობასთან, რომელთანაც ზაფხულობით ახლოა წითელი არმია.

ბანაკათ გასული წითელი ჯარის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა—დაუახლოვდეს გლეხობას, დაეხმაროს მას გაავრცელოს გლეხობაში ის ცოდნა, რომელიც ასე საჭიროა სოფლად.

ბანაკად ხშირად ნახავთ სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს, რომლებიც ესაუბრებიან არმიელებს და მეთაურებს, სთხოვენ რჩევა-დარიგებას დახმარებას.

თავისუფალ დროს არმიელები ჯგუფ-ჯგუფათ მიდიან სოფლებში, ეხმარებიან გლეხობას ეწევიან აგიტაციას კოლექტივების სასარგებლოდ, უზიდავენ გლეხებს წიგნებს და ასწავლიან სამხედრო საქმეს.

გლეხობა ყოველთვის მოუთმენლად მიელოდება არმიელებს. გლეხი დარწმუნებულია, რომ არმიელები არ გასთელავენ მის ყანას, არ აიკლებენ მის ბაღ-ვენახებს, არამედ მიეშველებიან მას, გაუწევენ დახმარებას.



ფოტო-შ. ფურცხვანიძის

ისვენებენ

საჯარო ბიბლიოთეკა

ტინისხიდელმა გლეხმა, როცა დილა ადრიან შეაბა ურემი, დაჯდა კოფოზე, გაიხედა გორისაკენ და დაინახა მზეზე თეთრად მოელვარე კარავთა ქალაქი, სიამოვნებით წამოიძახა:

— ე-ე, ვენაცვალე, მოსულან ჩვენი ბიჭები საზაფხულოთ!

ე. ხუციშვილი.



ქუთაისის შალეულის ფაბრიკა.—საჩეჩი მანქანის გავსება მატყლით.



მუდმივი აგრონომიული გამოფენა გორში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნა უდაბნოში

## ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კომუნა

### (ზემო-ქედი, კახეთის მაზრა)

ე. კაკულია

### წითელი წყაროსკენ

ზემო ქედი პატარა სოფელია შირაქში, დაახლოვებით 300 კომლი მცხოვრები იქნება იქ. გზა ქედისაკენ ასეთია: ჯერ წნორის სადგურიდან 40 კილომეტრი უნდა გაიაროთ ეტლით ლამაზ წითელ წყაროსაკენ. ეს უკანასკნელი დიდი მოზრდილი დაბაა შერეული მოსახლეობით,



ტრაქტორებით მიწას ამზადებენ ვენახისათვის

მეტი ნაწილი რუსობაა. ძველ დროს აქ ჯარის ნაწილები იდგნენ და ნაშთათ მრავალი ყაზარმებია დარჩენილი. ცხენოსან პოლკის ძველი ყაზარმების შენობაში მოთავსებულია სამაზრო ალმასკომის ცხენთსაშენი. დაბის ზემო ნაწილში —არტილერისტების ყაზარმები—ნახევრად გამოუყენებელია და მინგრეული. ზოგი შენობა შეუკეთებიათ და შიგ მოუთავსებიათ სხვადასხვა დაწესებულებები: კლუბი, ფოსტა-ტელეგრაფი.. წითელ წყაროს რაიონი „სემიჩკის" რაიონია და ზეთის გამოსახდელი ქარხნე'ბიც აქვთ. იშვიათია აქ მეურნე, რომელიც რამოდენიმე დღიურს მზეუმზირას არ სთესავს. გავრცელებულია განსაკუთრებით ზეთის მომცემი ჯიში „ზელიონკა".

### გულ-შირაქისაკენ

გულ-შირაქისაკენ ცხენებით წავედით. მალე იწყება შირაქის თვალმიუწდომელი მინდორი, რომელიც დასერილია პატარ-პატარა გორაკებით. მეცხვარეები ელდარიდან და სხვა ადგილებიდან აქეთკენ მოდიან: ნელნელა მიიწევენ საზაფხულო საძოვრებისაკენ. სუსხიანმა ზამთარმა მეცხვარეებს დიდი ზარალი მიაყენა. დიდძალი ბატკანი და ცხვარი დაეხოცათ. მწყემსი ცისკარიშვილი ჩივის: „სულ ორასი ცხვარი მყავდა და გამინახევრდაო". მართლაც ბატკნის ტყავებითაა სავსე ბინები.



ცხვრის ფარა საძოვარზე

უცბათ ტრაქტორის გუგუნი მოგვესმა და შორს მწვანეთ აბიბინებულ მინდვრისაკენ შავი წერტილები შევნიშნეთ. ეს ალმასკომის საბჭოთა მეურნეობა ყოფილა. აქ პირველად, შირაქში, წელს ჩაუყრიათ საძირკველი მარცვლეულობის საბჭოთა მეურნეობისათვის, დათესილი აქვთ 1000 ჰექტარამდი და კიდევ გაზაფხულის თესლს თესავენ.

ერთ ალაგას ბინებიც ვნახეთ. მუშები მიწურში ჩამალულან. მიდის გაცხარებული მუშაობა: თესლ სწმენდენ ტრიერებში და ფორმალინით წამლავენ გეიდის საწამლ მანქანაში. აქ ბევრი მანქანა-იარაღებია თავმოყრილი, მხოლოდ საფარის უქონლობის გამო ცის ქვეშ ყრია.

— მალე საფარი უნდა გავაშენოთ, წყალიც უნდა გამოვიყვანოთ, აი ქებსაც ვასუფთავებთ, -- ლაპარაკობს უფროსი მუშა. მართლაც, წყლის საკითხი შირაქში მწვავე საკითხია...



საბძელი, რომელიც 200 ფუთ ხორბალს იტევს

ალმასკომის მამულიდან 6-7 კილომეტრი-ღა იქნება ზემო ქედის კომუნამდი. სოფელი ცოტა მაღლობზეა და შორიდანაც მოსჩანს.

საინტერესოა შირაქი. აქ ღონიერი, მსუქანი და ბარაქიანი მიწებია, ხორბლეულის მოსავალი გულუხვი იცის, მხოლოდ ადრე უნდა დაითესოს ყველაფერი და ნიადაგი დროზე მომზადდეს, რადგან საშინელი გვალვები იცის ზაფხულობით, და წყალი დასალევათაც ძლივს იშოვება.

### კომუნაში

სოფლის შესავალში ვეებერთელა, 20 ჰექტარზე მეტი მოედანი არის მავთულით შემოვლილი. ეზოს წინა მხარეზე მოსჩანს ორსართულიანი დიდი შენობა და მის გარშემო რაღაცა დარაბები. ეს არის ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კომუნა, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგიული და ჭკვიანი გლეხი ყოფ. მწყემსი ქობა ჩოხელი. ის არის ამ კომუნის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი. უიმისოდ არაფერი კეთდება. ქობა გათენებიდან ღამის ათ საათამდე სულ ფეხზე ტრიალებს. ის ყველგან არის, მან ყველაფერი იცის, და თუმც ოფიციალურად „საგარეო საქმეთა კომისრად" ითვლე'ა, ე. ი. გარეთ მოსაგვარებელი საქმეები ევალება, „შინსახკომობასაც" ასრულებს. ჩვენგან სამნი პროფესიით აგრონომები ვიყავით. ქობას აგრონომების დიდი სიყვარული აქვს და ძალიან გაუხარდა ჩვენი ჩასვლა. კომუნაში საკუთარი აგრონომიც ჰყოლიათ. ქობა მაშინვე გაგვიძღვა წინ და დაგვათვალიერებია მთელი თავიანთი მეურნეობა.

### კომუნის შემადგენლობა

ქედის კომუნა დაარსდა 1926 წელში. წევრებს, რომ უკან დასახევი გზა არ ჰქონოდა, თავიანთი ქოხები დაანგრიეს და ახლის აშენებას შეუდგნენ. ჯერჯერობით ერთი სახლი კი ააგეს, მაგრამ წევრების რიცხვი გაიზარდა და ახალი სახლი ყველას არ იტევს.

ან და კომუნაში ითვლება 56 ოჯახი, 414 მჭამელით და 117 მუშა ხელით. ღარიბები იყვნენ 50 ოჯახი და საშუალო 6. კომუნაში 7 პარტიის წევრია, 6 კანდიდატი და 29 კომკავშირელი. ორი წევრი სრული ინვალიდია. უკანასკნელ ხანებში დიდძალი განცხადებები შემოდის მეცხვარე თუშებიდან და მათი მწყემსებიდან, რომელთაც ჰსურთ კომუნაში წევრად შესვლა. ამხ. ქობა ხსნის ამ მოვლენას იმით, რომ მეორე წელიწადია მეცხვარეები დიდათ დაზარალდნენ ცუდი ზამთრის გამო და ის ცოტაოდენი ცხვარი, რომელიც მათ შერჩათ, არ ღირს ცალკე კაცის მოსაცდენად. ქობას განზრახვა აქვს კომუნაში მეცხვარეობაც მოაწყოს.

— საკუთარი გამოცდილი მწყემსები გვეყოლებაო,—ამბობს იგი.

### უძრავ-მოძრავი ქონება.

კომუნის განკარგულებაში მყოფ მიწების სივრცე უდრის 420 ჰექტარს. მიწები მოწყობილი აქვთ; 20 ჰექტარი შეღობილია ეკლიანი მავთულით ეზოს სახით.

ორსართულიანი რვაოთახიან სახლს გარდა წელს ააშენეს სანიმუშო ქვიტკირის თავლა მანქანა-იარაღებისათვის, გაუშენებიათ ბოსელი 200



თივას პრესავენ

სული საქონლისათვის. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ რამდენად კარგია მანქანა-იარაღების შესანახი ბინა, იმდენად არ ვარგა საქონლის თავლა: ბნელი, ვიწრო და დაბალი. გარდა ამისა, სოფლად აქვთ ბევრი სახლები, რომელშიაც ცხოვრობენ წევრები. საერთო, დიდი, მოხერხებული ბინა შეადგენს ოცნებას კომუნის ყველა წევრებისათვის. მართლაც, მოზიდული აქვთ დიდძალი ხის და ქვის მასალა ახალი შენობისათვის, რომლის აგებას მალე უნდა შეუდგნენ.

მოწყობილი აქვთ სახერხი ქარხანა, რძის სადღვები, სამჭედლო, სადურგლო, რომლებშიაც მუშაობენ კომუნის წევრები-ხელოსნები.

აქვთ 4 ტრაქტორი, ორი სალეწი მანქანა თავისი ლოკომობილით, 3 სამკელი, სათიბი—2, თივის საპრესი, ტრიერი, რომელიც მიუღიათ სას.-სამეურნეო გამოფენაზე პრემიის სახით, პურის სათესი—2, ორი რკინის ·ფარცხი და სხვა. არა აქვთ მხოლოდ სიმინდის სათესი მანქანა და თეფშებიანი ფარცხი, რომელნიც ძალიან საჭიროა მათთვის.

მეწველი საქონელი ჰყავთ 89 სული, ცხენი 19, მუშა ხარი და კამეჩი 69, სხვა—169, სულ ·26 სული.

მთელი ქონება კომუნისა შეფასებულია 122.')0Ⴚ მანეთად.

## საერთო საქმიანობა.

კომუნა უმთავრესად მემინდვრეობას მისდევს. შემოდგომაზე დათესეს 23 ჰექტარი პურით, 3 ჰექტარი ქერით, გაზაფხულზე დათესეს ქერი, ფეტვი და სიმინდი 50 ჰექტარზე, კარტოფილი—4-ზე და სხვა.

კომუნამ შარშან მოჰკიდა ხელი მეხილეობას და მევენახეობას. ჩაყარეს ხეხილის ბაღი 300 ძირი, ვენახი 0,5 ჰექტარი, რომელსაც წელს მიუმატეს კიდევ 2,5 ჰექტარი.

ამგვარად კომუნა მევენახეობის პიონერი იქნება რაიონში. მისდევენ აგრეთვე მეფუტკრეობას, რომელიც ამ მხარეში კარგ შედეგებს იძლევა. ყავთ ჩარჩოიან სკებში ორასამდის ძირი ფუტკარი, რომელსაც უვლის წევრი მეფუტკრე, რომელმაც სპეციალური კურსები დაამთავრა.

კომუნა ეხმარება სხვა კომუნებს და მოსახლეობასაც. არტელ „შირაქს“ შარშან მოუხნეს 15 ჰექტარი მიწა, 500 ფუთი პური დაასესხეს ღარიბ მოსახლეობას და სხვა. ჩვენი აქ ყოფნის დროს პურის სასესხებლად კომუნაში ჩამოსული იყო მწყემსი თუში— არტელ „მერინოსი“-ს წევრი.

კომუნას კარგი გავლენა აქვს მეზობლებზე. მას მიჰბაძეს და ჩამოაყალიბეს კომუნები არხილოს კალოზე, ქვემო-ქედში და სხვაგან. კომუნის წევრები თემსაბჭოში მუშაობენ და იქ გავლენით და პატივისცემით სარგებლობენ.

## ყოფა-ცხოვრება, კულტურული მუშაობა.

დისციპლინა კომუნაში კარგი აქვთ. მოპყრობა ერთმანეთისადმი ამხანაგურია. ხელმძღვანელების განკარგულებას უყოყმანოთ ემორჩილებიან. ლოთობა და სარწმუნოება განდევნილი. სმა-ჭამა ერთად აქვთ, მხოლოდ საერთო ბინების უქონლობის გამო ცხოვრობენ დაქსაქსულად.

კულტურული მუშაობა ბოლო ხანებში გამოუცოცხლებიათ, მხოლოდ ამ მხრივ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი. ჟურნალ-გაზეთებს ბევრს იწერენ, მათ შორის 13 „ახალი სოფელს“ და 33 „ახალგაზრდა კომუნისტს“, შკოლა საკუთარი არა აქვთ, მაგრამ სოფლის სკოლაში 40-მდე კომუნარის ბავშვი დაიარება. ეხლახან გახსნილ იქნა ბავშთა ბაგა განათლების კომისარიატის ხარჯზე.

ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს, თუმცა ბოლო ხანებში ამ ნაკლის გამოსწორებას უკვე შესდგომიან.

ყველა მუშაობს თავის სპეციალობაზე. დარგებს თავისი ხელმძღვანელები ჰყავთ. კომუნა ძალიან ცდილობს, რომ საკუთარი კვალიფიციური მუშა ხელი მოამზადოს. გაუგზავნიათ კურსებზე ტრაქტორისტები, მეფუტკრეები. ეხლა უკვე 8 საკუთარი ტრაქტორისტი ჰყავთ და 2 მეფუტკრე, მათში ერთი ქალია. ამით აიხსნება ტრაქტორების მუშაობის ნაყოფიერება. არის ტრაქტორისტი, რომელსაც 160—17 ჰექტარი მიწა დაუმუშავებია (თავიანთი და სხვების).

## მთავარი სატკივარი.

ეს არის უწყლობა. როდესაც ამხანაგობა წყალზე დაიწყებს ლაპარაკს, კილოზე აღელვება ეტყობა.

— ჩვენ წყალმა შეგვჭამა, მთელი ჩვენი შრომა და ენერგია წყალს მიაქვს,—ლაპარაკობს კომუნარი.

მართლაც, სურათი ასეთია: წყალს ეზიდებიან წყაროდან, რომელიც კომუნიდან 2,5 კილომეტრის მანძილზეა. წყალი უნდა ამოიტანონ ხევიდან, საქონელს უხდება დიდი აღმართის დაძლევა, ამიტომ 15—20 ვედროიანი კასრის ამოსაზიდავათაც კი ორი უღელი ხარ-კამეჩია საჭირო. წყალს ყოველ დღე ეზიდება 19—25 ურმამდე. დღეში, მიუხედავად სიახლოვისა, ერთი ან ორი გზის მეტს ვერ აკეთებენ.

— საქმე რაშია, რატომ არ გამოგყავთ წყალი?—ვეკითხებით ქობას, ერთი წლის ხარჯი კიდეც გამოგიყვანდათ სავსებით.

ქობა ნაღვლიანად გვიპასუხებს:

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ ეს თანხა ფულათაა საჭირო, ჩვენ კი სადა გვაქვს, და აი ასე ვწვალობთ. თუ მთავრობა არ დაგვეხმარა ამ საქმეში, კარგა ხანს ვერ შევსძლებთ წყაროს გამოყვანას და სულ ასეთი ტანჯვაში ვიქნებით.

მართლაც წყლის საკითხში კომუნას დახმარება გარედან ესაჭიროება და ის შემდეგ მალე გადიხდის ვალს.

მაზრა, ცენტრი, ყველა უნდა დაეშველოს ქედის კომუნას წყლის საკითხის მოგვარებაში და ის მაშინ გადაიქცევა სანიმუშო კოლექტივად, არამც თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, შეიძლება საკავშირო მასშტაბითაც.

**აგრონომი ე. კაკულია.**

# სერგი გორგაძე

## (მისი გარდაცვალების გამო)

სერგი რომანოზის ძე გორგაძე დაიბადა 1876 წ. აპრილის 2-ს ზემო იმერეთის სოფ. ილემში. 1886 წ. ის მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდგომ 1890 წ. სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც 1897 წლისათვის მას უკვე სრული კურსი ჰქონდა გავლილი. იმავე წელს შევიდა ყაზანის სას. აკადემიის საისტორიო განყოფილებაზე და დაამთავრა იგი 1901 წ. საკანდიდატო ხარისხით. იგი მაშინვე ბრუნდება საქართველოში. პრაქტიკულ საქმიანობას იწყებს იმავე 1901 წ. ქ. ახალ-სენაკში ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე. 1903 წ. სამუდამოდ გადმოდის თბილისში, სადაც განუწყვეტლივ მასწავლებლობს ქართულსა და მთავრობის გიმნაზიებში, პედაგ. ინსტიტუტში და სხვა სასწავლებლებში. მისი მთავარი საგანი ყოველთვის არის ქართული ენა და ლიტერატურა და საქ. ისტორია. უკანასკნელ წლებშიც იგი ინტენსიურად მუშაობს თბილისის მუშათა ფაკულტეტებსა და პედ. ინსტიტუტში. განსვენებულის პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულია მისი სახელმძღვანელოები (ქართ. ლიტერატ. ქრესტომატიები და სხვ.)



მწერლობას იწყებს ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს. ამ დროს ის უმთავრესად საზოგადოებრივ თემებზე წერს.

მთავარი ენერგია მაინც განსვენებულმა ქართველთმცოდნეობას შესწირა. ის იყო არა მარტო მოყვარული ქართ. სიძველეებისა, არამედ მათი მეცნიერულად მომზადებული და მეთოდოლოგიურად გაწვრთნილი მკვლევარი. ჯერ კიდევ აკადემიაში გამომჟღავნებული სათანადო ინტერესები მას საქართველოში დაბრუნების შემდეგ უფრო უძლიერდება. მისი ყურადღება მრავალმხრივია: წმინდა ისტორიული და ისტორ.-ლიტერატურული საკითხები, ძეგლების დაცვა, შესწავლა და გამოცემა, ქართ. ენათმეცნიერებისა და პოეტიკის პრობლემები,— ყველა ამ დარგში მუშაობს ს. გორგაძე და თვალსაჩინო კვალს სტოვებს. თავის დროისათვის მეთოდოლოგიურად საყურადღებოა განსვენებულის „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ (IV ს. ქ. წ.—V ს. ქ. შ.), განსვენებულს გამოქვეყნებული აქვს სხვა ნარკვევებიც ანალოგიური ხასიათისა. მაგრამ შემდეგში ის უფრო და უფრო მწერლობის ისტორიისაკენ იხრება: ქართ. ლიტერატურული ტრადიციის კვლევასთან ერთად ის დახელოვნებით სცემს თვით ძეგლებს (პეტრიწის მიერ ნათარგმნი ნ. ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, გამოკვლევითა და ლექსიკონით; ბესიკის ნაწერები ბიოგრაფიითა და ლექსიკონითურთ; იაკობ ხუცესი და მრავ. სხვ.). ქართულ ფილოლოგიაში ს. გორგაძეს ერთი პირველ ადგილთაგანი უნდა მიეკუთვნოს. აღსანიშნავია ამასთან რომ ს. გორგაძე ერთადერთი კაცი იყო ჩვენში, რომელიც სპეციალურად მუშაობდა ქართ. ფილოსოფიური მწერლობის ისტორიაში (იხ. მისი ვრცელი გამოკვლევა, ნაწილობრივ გამოცემული: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართ. მწერლობაში“).

განსაკუთრებით აინტერესებდა განსვენებულს ქართულ სამართლის ისტორიის ძეგლები, მაგრამ მთავარი ნარკვევები ამ სფეროდან მას მხოლოდ ხელთნაწერების სახით დარჩა.

იკვლევდა იგი აგრეთვე მეცხრამეტე ს-ის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას: კარგად იცნობდა ა კ ა კ ი ს („აკაკი წერეთლის ბიბლიოგრაფია“, ნაწილობრივ გამოქვეყნებული; „აკ. წ-ის ცხოვრება და ნაშრომი“; სახელგამის მიერ წამოყენებული აკაკის „რჩეული ნაწერები“-ს რედაქცია), რამდენიმე წერილი მიძღვნილი აქვს ნ. ბარათაშვილისადმი და სხვ. პოეზიის თეორიით დაინტერესებულმა მან შეისწავლა ქარ. ვერსიფიკაციის საკითხებიც (მისი, ჯერ დაუბეჭდავი, ვრცელი გამოკვლევა: „ქართული წყობილსიტყვაობა“; „ბარათაშვილის ლექსის ფორმა“).

კიდევ ერთი მომენტი განსაკუთრებით მკაფიოდ არის წარმოჩენილი ს. გორგაძის შემოქმედებასა და პრაქტიკაში: ქართ. ენის კულტურის სამსახური. სალიტერატურო ქართულისა და და მისი ისტორიის კარგი მცოდნე („ახალი სალიტერ. ქართულის ისტორიიდან“), იგი ჰბეჭდავს საყურადღებო გამოკვლევებს, რომლებშიაც სტილის, მართლწერისა და მართლმეტყველების სადაო საკითხებს აშუქებს („ქართ. მართლწერა“, „ქართ. სადასიტყვაობა“ და სხვ.). ხოლო მას შემდეგ, რაც ახალმა ცხოვრებამ რეალური საჭიროების გამო სპეციალურ ორგანოებს დააკისრა ამ საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა, ს. გორგაძე არის ამ დაწესებულებათა მთავარი და მიუცილებელი თანამშრომელი: მრავალრიცხოვანი კომისიების წევრი და მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის მდივანი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს საქ. ს ისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის წინაშე: ამ პირველი ქართ. სამეცნიერო დაწესებულების დაარსების დღიდან (19.7) იგი არის მისი მდივანი 1925 წლამდის; აქტიურ მონაწილეობას იღებს საზ-ბის საქმიანობაში, 1919 წლიდან კი სიკვდილამდის განაგებს საზ-ბის მიერ შექმნილს უმდიდრესს მუზეუმსა და წიგნთსაცავს. მხურვალედ მუშაობდა ს. გორგაძე სხვა ქართ. სამეცნიერო საზოგადოებებშიაც.

უდროოდ მოსწყდა ს. გორგაძე ქართველთმცოდნეობის მუშაკთა რაზმს: მისი შემოქმედებითი ნებისყოფა ჯერ კიდევ შეუსუსტებელი იყო და ენერგია შეუმცირებელი.

**ს. ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალლო, ლაპარაკობს თბილისი!

## სანდრო თბილისელი

ტეხნიკა ბუმბერაზული ნაბიჯებით ვითარდება. დღითი-დღე, ყოველ საათობით ვიწროვდება ფანტასტიკის ფარგლები და ის, რაც ასეული და ათეული წლების წინად განუხორციელებელ ოცნებად გაიელვებდა კაცობრიობის აზროვნებაში რეალურ და შესაძლებელ საქმედ იქცევა.

ალლო! ალლო! ისმინეთ! ისმინეთ!

შევეჩვიეთ ამას. ვიცით, რომ განსაზღვრულ საათს, ყოველდღე დედამიწის მთელ ატმოსფეროში ახმაურდება ორმოცდაათზე მეტი საბჭოთა რადიო სადგურის სიგნალები და ფოლადის მავთულებით შენობებზე დამაგრებული ანტენების ტყე დაიწყებს აფორიაქებულ ეთერიდან მთელი დედამიწის უკანასკნელი ამბების გადმოცემას. ქუჩებში, კლუბებში, კინოს ფოიებსა და გემებზე, წითელ ყაზარმაში და საპატიმრო სახლებში, ყველგან ისწრაფვიან რადიო-აპარატებისაკენ და ისმენენ გადმოცემას.



ფოტო—კოგანის

**დიქტორი მიკროფონთან**

რადიოსთვის არ არსებობს საზღვარი და ზღუდე, მისი „ხმა“ აღწევს დედამიწის ყველა კუთხეში და წლითი-წლობით ადიდებს თავის მსმენელთა რიცხვს.

ახალი ადამიანები ახალი სიტყვით ამკვიდრებენ ახალ ცხოვრებას—ისინი იყენებენ რადიოსაც—კულტურული რევოლიუციის ამ ერთ-ერთ უმძლავრეს მამოძრავებელს.

მაგრამ რადიო-ტალღებს მარტო საბჭოთა კავშირის სადგურები როდი გზავნიან. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მრავალი ასეული სადგური სულ სხვა ჰანგებზე „მღერის“.

იქ არ გაისმის რევოლიუციონერთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, არ არის ეს „საშინელი“ დეპეშები გაფიცვების ტალღის ზრდის შესახებ, იქ ყურთა სმენას აყრუებს ფოქსტროტები და ჩარლსტონები, ბლეკ ბოსტონის გამაბრუებელი ხმები.

ბურჟუა ჩასუქებულ თითებს მოჰკიდებს მიმღებ აპარატს და უერთდება ვენას, სტამბოლს, პარიზს... იგებს საბირჟო კურსს და ისმენს მუსიკას, რომელიც ნერვებს ულიზიანებს.

მაგრამ იქვე, კაპიტალისტურ ქვეყნებში კომინტერნის 870 მეტრიან ტალღაზე, კიდევ უფრო მეტი ხალხი დაუგდებს ყურს „აღმოსავლეთის ქარს“ უცნობს, მაგრამ ასე მახლობელ ენაზე.



ფოტო-ა. კოგანის

**ოქტომბრელის საათი**

რადიო ყველას გემოვნებას აკმაყოფილებს. ისმინეთ! ისმინეთ! ლაპარაკობს თბილისი! ეს უკვე ჩვენია, მახლობელი და ნაცნობი. ვიცით რომ განსაზღვრულ საათზე გავიგონებთ იმავე ხმას და იმავე სიტყვებს. გავიგონებთ...

მაგრამ მოდი ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს „იდუმალი“ თბილისი, რომელიც ასე დაჟინებით „არღვევს“ ჩვენს მყუდროებას.

ალმასკომის ქუჩა, № 8.

ჩვეულებრივი ოთახი გაყრუებულია საბეჭდი მანქანების ტკაცუნით. საკრავების მოწყობის ხმაურობით და საგაზეთო მასალის ხმამაღლა კითხვით. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სტუდია გადაცემისათვის ემზადება.

აქ სწარმოებს მთელი მოსამზადებელი მუშაობა, სანამ მეორე ოთახიდან დაიწყებოდეს ეთერის ტალღებში გ დაცემა.

ნუ ჩქარობთ შესვლას...



ფოტო—კოგანის

**სოლისტები მზად არიან**

ცეცხლის ასოები გაფრთხილებენ, ცეცხლის ასოები მოკლედ და მტკიცედ გეუბნებიან:

„მიკროფონი შეერთებულია—შემოსვლა არ შეიძლება“.

ამ კარს იქით ანთია ბრჭყვიალა ფანრები, კედლებზე, ჭერზე გაკრულია ალისფერი ხავერდი, ყველგან თვალს ეალერსება წითელი ფერი.

ამ ოთახში ხმა მიყრუებულია, ძალიან სასიამოვნო ხმაც კი რაღაც ყრუ და შორეული გეჩვენება.

ისმინეთ! ისმინეთ! ლაპარაკობს თბილისი!

მაგიდაზე, მიკროფონთან დიქტორები სრულიად სადათ, თავაულებლივ კითხულობენ უკანასკნელ ინფორმაციას.

რადიო არ სცნობს ზეპირად ლაპარაკს. საუკეთესო ორატორსაც კი შეიძლება მოუვიდეს შეცდომა, შეიძლება შეფერხდეს ლაპარაკის დროს. თუნდაც სრულიად უმნიშვნელო საგაზეთო ინფორმაცია, თუნდაც პატარა განცხადება—აუცილებლად წაკითხვით უნდა გადაიცეს.

ისმინეთ! ისმინეთ! ლაპარაკობს თბილისი!

მიკროფონი ხმას აქცევს ელექტრობად და გამაძლიერებლითა და მავთულებით გადასცემს მას ნავთლუღის რადიო-გადამცემ სადგურს. აქ რთული აპარატურის ქსელში ხმა იქცევა ელექტრო-მაგნეტურ ტალღებად, რომლებსაც სხივებად უშვებს გადამცემის ანტენა.

რადიოს უკვე მივეჩვიეთ, აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში და უკვე იშვიათია ისეთი სახლი, ისეთი ბინა, სადაც რადიო-მიმღები არ იყოს დადგმული. 300 ათასამდე აპარატია გატარებული რეგისტრაციაში მთელ საბჭოთა კავშირში, დაახლოებით ამდენივე, თუ მეტი არა, იქნება იმათი რიცხვი, ვინც რეგისტრაციაში არ ტარდება, უერთდება ტელეფონის მავთულს, განათების ქსელს, ან ჩარჩოიან ანტენას და კონტრაბანდულად იჭერს ეთერის ტალღებს.

რადიო ეხმაურება ცხოვრების მხნე ტემპს, იგი უყურადღებოდ არ სტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ მოვლენას და მონაწილეობას იღებს ყოველ კამათში.

ბრძოლა მოსავლიანობისათვის, საბჭოთა და პარტიული აპარატის წმენდა, ანტირელიგიური კამპანია—ყველაფერი ტარდება რადიოსტუდიის მიკროფონში პოპულიარული ფორმით, სამხატვრო პროგრამასთან შენაცვლებით.



ფოტო—ა. კოგანის.

**ხმები იქცევა ელექტრო-ტალღებად**

ხუთი მაისის წინა ღამეს—„ქრისტეს აღდგომა“ ღამეს სტუდია დილის ხუთ საათამდე მუშაობდა. ეს დრო სარეკორდო იყო საბჭოთა კავშირის ყველა რადიო-გადამცემ სადგურისათვის და რადიო მსმენელთა კოლექტიური სახე, რომელსაც ახარებს რადიოს ყოველი მიღწევა, მრავალი სამადლობელი წერილით გამოეხმაურა სტუდიას. არა თუ საქართველოს მიყრუებული კუთხეები, არამედ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შორეული ადგილებიც კი ისმენდნენ ანტირელიგიურ კონცერტს.

მანგლისმა ღამის 11 საათზე მოითხოვა კონცერტის გაგრძელება. გლეხებმა თავი მოიყარეს რუპორთან და აღარ იშლებოდნენ... ეკლესიის ზარების მოსაწყენმა ზრიალმა ვერ დაფარა მხიარული საცეკვავო მუსიკის ხმები.

რადიო-ტეხნიკა წინ მიდის. უკვე მოხდა ახალი მძლავრი გადამცემი სადგურის გამოცდა და უცხოეთის აპარატურის მიღების შემდეგ თბილისი კიდევ უფრო ხმამაღლა ალაპარაკდება.

სახლების სახურავებზე, მაღაროების სიღრმეში—ყველგან აღწევს ეთერის ტალღები.

რადიოსთვის არ არსებობს მანძილი და საზღვარი.

ისმინეთ! ისმინეთ! ლაპარაკობ, თბილისი!

**სანდრო თბილისელი**



ფოტო—ა. კოგანის.

**გლეხთა სასახლეში უსმენენ რადიოს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სახკინმრეწვი

შ. ალხაზიშვილი

საქართველოს სახკინმრეწვის უკანასკნელი პროდუქცია უკვე საკმაო საბუთებს იძლევა, რომ ითქვას ახალი კურსის აღების შესახებ. მთელი რიგი სურათებისა, გარდა ორ-სამ „ისტორიულ“ სურათებისა, რომელიც გამოშვებული იყო სახკინმრეწვის მიერ 1928-29 წლებში, ნათლად მოწმობს, რომ დღეს საქართველოს კინო მრეწველობა სდგას ახალ გზაზე, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება ძველი შემოქმედებისაგან. ამის პირველი მერცხალი იყო „ელისო“ რეჟ. ნ. შენგელაიას მიერ დადგმული. ამ სურათმა აალაპარაკა როგორც საბჭოთა პრესა, აგრეთვე საზღვარ-გარეთიც. რით აიხსნება ამ სურათის ასეთი წარმატება? პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ პირველი სურათია, რომელიც სრულიად სხვანაირად მოგვაწოდებს საქართველოს წარსულს. სცენარი არ მისდევს ბრმად ა. ყაზბეგის ცნობილ მოთხრობას. რამდენადაც „ჯანყი“ არ გასცილებია სცენარულად ე. ნინოშვილის მოთხრობას, იმდენად „ელისო‘ იძლევა ყაზბეგის მოთხრობის პარალელურ ნაწარმოებს, სრულიად ახალს და ორიგინალურს. კინემატოგრაფია ვერ იტანს ლიტერატურულ ნაწარმოების ინსცენიროვობას· შეიძლება მან აიღოს ლიტერატურიდან ფაბულა, მაგრამ სიუჟეტური დამუშავება და გახსნა ამ ფაბულისა სავსებით უნდა განირჩეოდეს ლიტერატურულ სიუჟეტისაგან, ამაშია ერთი მიზეზი „ელისოს“ გამარჯვებისა. იგი სცენარულად აშენებულია დოკუმენტალურ პროზაზე რომელიც იმ დროს საარქივო მასალებში მოიპოვებოდა, მაგრამ დოკუმენტები დარჩება სამუზეუმო და სპეციალისტების საგნად, თუ კი იგი არ იქნება ემოციონალურად გადამუშავებული. ამაშია მეორე მიზეზი „ელისოს“ გამარჯვებისა. დოკუმენ ალური ფაქტები ემოციონალურად ძლიერად არიან გადამუშავებული, ამისათვის რეჟისორი მიმართავს სიუჟეტურ ატრაქციონებს, რომელნიც გაბნეულნი არიან ყოველ ნაწილში. ეს არის ემოციონალურ ეფექტის მომცემი მაქსიმალური მწვერვალები, როგორც მაგალ. მუხლმოდრეკილ აულზე ყაზახების ცხენების მისევა, მ უხარებიდან ლხინზე გადასვლა და სხვა ასეთები. მესამე: სიყვარულის ბანალურ ინტრიგის უქონლობა. უნდა ითქვას რომ რითაც გაიმარჯვა „ელისომ“, სწორედ ამის უქონლობით დამარცხდა „ჯანყი“. ეს გარემოება მეტად საგულისხმოა და მიუთითებს სახკინმრეწვს, თუ როგორ უნდა მიუდგეს იგი ისტორიულ სურათების დადგმებს. იგივე ითქმის „კომუნარის ჩიბუხი“-ს შესახებ, რომელიც გარდა თვალსაჩინო ფორმალური ნაკლისა, სცენარულად აგრეთვე წარმოადგეს ერენბურგის შიშველ ფაბულაზე აგებულ ნაწარმოებს. „კორნეტ სტრეშნიოვი“. რომელიც აგრეთვე უნდა მივაკუთვნოთ ისტორიულ სურათების ციკლს, წარმოადგენს მოწაფურ ნამუშევარს ფორმალური̦ს მხრივ, რაც შეეხება თემატიკას, უნდა ითქვას, რომ იგი დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მიუხედავათ თავის თემატიური არა აქტუალობის, იგი მაინც უნდა ჩაითვალოს საშუალო სტანდარტულ სურათათ.—მაგრამ მთავარი რითაც შეიძლება სახკინმრეწვის ახალი კურსის შემოწმება, ეს არის მთელი რიგი სურათების გამოშვება თანამედროვე ცხოვრებიდან.



კადრი სურათიდან „ახალგაზრდობა იმარჯვებს“

ავიღოთ მაგალითად რეჟ. ბერიშვილის სურათი „ღრუბლების საბინაოზე“. მოქმედება სწარმოებს ზემო-თუშეთში. თემად აღებულია სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია მეცხვარეობის ფრონტზე. იგი სავსებით თანამედროვეობას ეკუთვნის და საბჭოთა კულტურულ აღმშენებლობის ერთ-ერთ ამოცანას ეხება. სურათი ამ მხრივ მეტად სასარგებლოა და მისაღები. კინემატოგრაფიულად იგი სავსებით სრულყოფილი ვერ არის, ამ სურათში აღრევაა ჟანრების. ნახევრად კულტურ-ფილ ი, ნახევრად დრამატიული ნაწარმოები. წარმოება აღებული როგორც ფონი სიყვარულის ინტრიგების გაშლისათვის. რასაკვირველია მეშჩანური საზოგადოება არ მიიღებს რეჟ. ესაკიას „ხოლტზე“, რომელიც სავსებით გარკვეულად არის აშენებული ფელეტონურ სტილზე, მაგრამ როგორც მთლიანი კინემატოგრაფიული ნაწარმოე ი „ხოლტზე“, წარმოადგენს პირველ ცდას სახკინმრეწვში ახალი ჟანრის შემოტანის, მაგრამ არა მარტო სახკინმრეწვში, არამედ, შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირშიც, რადგან ასეთი ჟანრის სურათის ცდა ჯერ არ ყოფილა. აქ არ შეუდგებით იმის ახსნას თუ რატომ ვერ მიაღწია ამ სურათმა თავის დანიშნულებას, ფელეტონი იწერება პროვინციალურ გაზეთებშიაც და ცენტრის გაზეთშიც. რასაკვირველია ამ ორ ფელეტონებს შორის განსხვავება უსათუოდ იქნება. ესაკიას შეეძლო ამ ფელეტონის კარგათ გაკეთება, რადგან იგი მემარცხენე მწერლობიდან გამოდის, მაგრამ ჯერ ერთი იგი კინემატოგრაფიულად ახალგაზრდაა, მეორეც ის, რომ ახალ ჟანრზე დაყრდნობა არ იძლეოდა სათანადო და ჩვეულ კინო-შტამპებს, რითაც მას შეეძლო სარგებლობა. საჭირო იყო ახალი ხერხის და ახალი სტილის გამონახვა, რაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

ეს ორი სურათი „ღრუბლების საბინაოზე“ და „ხოლტზე“ სავსებით სოფლურ თემატიკას ეკუთვნიან. სახკინმრეწვის წარსული პროდუქცია უმთავრესად სოფელს გვიხატავდა, მაგრამ ის სოფელი იყო ძველი და მეტად ყალბად წარმოდგენილი. ახალი სახკინმრეწვი იძლევა თანამედროვე საბჭოთა სოფელს, სადაც ხდება შეჯახება ახალ და ძველ ყოფას შორის. ამიტომ, რჩება რა ლოკალურად სახკინმრეწვის ძველი პროდუქციის ფარგლებში, თემატიურად ეს ორი სურათი იძლევა სრულიად ახალ მასალას, რომელიც სავ ებით თანამედროვე, აქტუალური და იდეოლოგიურად მისაღებია.

„ახალგაზრდობა იმარჯვებს“, რეჟ. მ. გელოვანის მიერ დადგმული წარმოადგენს სულ სხვა სახის კინო-ნამუშევარს. ეს არის პირველი ცდა ახალი კომედიის შექმნისა სახკინმრეწვში იმ მასალაზე, რომელსაც იძლევა თანამედროვე აჭარისტანი ახალის და ძველის შეჯახების კოლიზიებში. წინადაც სდგამდა სახკინმრეწვი კომედიებს, მაგალითისათვის ავიღოთ „ხანუმა“, მაგრამ ეს კომედია აგებული იყო დრამატ ულ ნაწარმოებზე, რომლის სათანადო კომედიური სიტყვიერი მასალა სავსებით იკარგებოდა კინემატოგრაფიულ ინსცენიროვობაში. კინო კომედია უმთავრესად უნდა ემყარებოდეს ფორმალურ „ტრიუკებზე“ ან და სცენარულ სიტუაციებზე არც ერთი, არც მეორე „ხანუმაში“ არ მოიძებნება. იგი იყო თეატრალური წარმოდგენა გადაღებული კინო-აპარატის მიერ, ამიტომ არა კინომატოგრაფიული ფაქტი. „ახალგაზრდობა იმარჯვებს“—აგებულია მკვეთრ და პაროდიულ სიუჟეტურ მდგომარეობ ბზე. რასაკვირველია ფორმალურ ად შეიძლება უფრო უკეთესად და ძლიერ დ ამ სიტუაციების კინემატოგრაფიული გადმოცემა. (მაგ. ოპერატორის მუშაობა მოისუსტებს), მაგრამ სურათი იმარჯვებს უმთავრესად პაროდიულ ხაზებში მოცემულ მასალის მხრივ. კულტურულ რევოლიუციის ერთ-ერთი ამოცანა —ჩადრის მოხსნა გადმოცემული კომედიურ გაფორმებაში მაყურებლის მიერ ადვილად და სიამოვნებით ითვისება.



კადრი სურათიდან „ახალგაზრდობა იმარჯვებს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქაღალდის ფაბრიკა საქართველოში

1. შესავალ-გამოსავალი კანტორა
2. გამგეობა
3. ხესის ქარხანა
4. ხესის მასის ქარხანა
5. ცელლულოზის ქარხანა
6-7. ჭანგის მჟავის ქარხანა
8. ჭანგის მჟავის აუზები
9. მომამზადებელი განყოფილება
10. სპირტის, ძაღარის ქარხანა



ენგურის ქაღალდის ფაბრიკის მოდელი

11. დარბაზები-საკალანდრო და ქაღალდის მანქანების
12. ქაღალდის განსახარისხებელი და საფუთავი
13. ქაღალდის საწყობი
14. ძალ-სადგური
15. საზეინკლო და სადურგლო
16. ჩამოსასხამი და სამჭედლო
17-21. ნედლ მასალის და სათბობის საწყობები
22. სახანძრე დეპო

ეს უკანასკნელი სურათიც ვითარდება სოფლის გარემოში. პირველი სურათი, რომელიც მთლიანად და სავსებით ქალაქურ მასალაზე არის აგებული, არის რეჟ. მ. ჭიაურელის სურათი „საბა“. ქალაქი და განსაკუთრებით თბილისი სახკინმრეწვის მიერ სრულიად მიტოვებული იყო თავის პროდუქციაში. თანამედროვე ქალაქის მუშის ჭირ-ვარამი, მისი ნაკლულოვანება და მისი წუხილი პირველად ამ სურათში წარმოგვიდგა თვალ-წინ. თანამედროვე კინოსაგან მოვითხოვთ რომ 'გი სოციალისტურ აღმშენებლობას ხელს უწყობდეს. ხელოვნების დარგში აღმშენებლობის გამოხატვ, შეიძლება კულტურულ რევოლიუციის საკითხებთან დაკავშირებით. ბრძოლა ალკოჰოლიზმთან წარმოადგენს ერთ-ერთ ამოცანას კულტურულ რევოლიუციისა. ამ ამოცანის გადაჭრის პრობლემის საკითხს სდგამს ეს სურათი. რასაკვირველია „საბას“ სრულიად არა აქვს პრეტენზიები ამ პრობლემის ამოწურვისა. „საბა“-ში დასმულია ალკოჰოლიზმთან ბრძოლის პრობლემის გადაჭრის ცდა ქალაქის მუშის ცხოვრების კონკრეტულ მასალაზე. აგიტაციონური მასალა სურათისა გადმოცემული ფსიქოლოგიური კინო-მოთხრობის სახით. დრამატიზაციაქმნილი მასალა ზოგიერთ მომენტებში აღწევს ემოციონალურად ძლიერ ეფექტებამდე. ამ მხრივ შეიძლება შევადაროთ „საბა“ — „ელისოს“, მაგრამ აქვე აღინიშნება განსხვავება შენგელაიას და ჭიაურელის მანერის შორის. შე გელაია ტემპერამენტით და ემოციონალურ შეტევით იპყრობს მაყურებელს, იგი როგორც მთის ნაკადი, რომელსაც შლამის გარდა მოაქვს თავის წყლით აქა იქ გაფანტული ოქროს ნაწილები. ჭიაურელი, პირიქით, დამჯდარი, ღრმად დაკვირვებული და ფსიქოლოგიურად გამართლებულ მომენტებით იპყრობს ყურადღებას. მისი მუშაობა მხატვრობაში და ქანდაკებაში სავსებით სარგებლიანათ აქვს მას გამოყენებული. ეტყობა მხატვრული კულტურა და დაკვირვებული მუშაობა. შენგელაია უფრო მოქმედობს ატრაქციონულ ეფექტებით, სამაგიეროთ ჭიაურელი მუსიკალურ რიტმით გაჟღენთილ მხატვრულ ფორმებში ანსახიერებს თავის სურათს. „ელისო“ და „საბა“ უკვე იძლევიან საკმაო მასალას ამ ორ რეჟისორის სტილის შესახებ. საჭიროა მხოლოდ მოპოებულ მიღწევათა უფრო მეტი განვითარება და წინსვლა.



კადრი სურათიდან „საბა“



კადრი სურათიდან „საბა“

**შ. ალხაზიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მუზეუმის კოლექციები

## კალაკენდის სარტყელი

**გ. ჩიტაია**

გასული საუკუნის ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში, მაშინდელ განჯის გუბერნიასა და ბორჩალოს მაზრაში არქეოლოგებმა დე-მორგანმა, ბელკმა, რიოსკლერმა, და ივანოვსკიმ არქეოლოგიური გათხრების დროს უძველესი ხანის სამარხებში უდიდესი სამეცნიერო ღირებულების მქონე ბრინჯაოს ნივთები აღმოაჩინეს. ამ ნივთების აღმოჩენამ სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის ადრინდელი კულ ურის ისტორიის დიდად მნიშვნელოვანი პრობლემა წამოაყენა და ცხარე კამათი გამოიწვია. პრობლემის დასმის და კამათის წამოწყების უშუალო საბაბი გახდა გათხრების დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყლები, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში კალაკენდის სახელწოდებითაა ცნობილი. სამწუხაროდ საქართველოს მუზეუმის



კალაკენდის სარტყელი

არქეოლოგიურ განყოფილებაში ასეთი სარტყლის მხოლოდ ფრაგმენტები მოიპოება. სარტყლების უმრავლესობა აღმოჩენის დროსვე გაზიდული იყო საზღვარგარეთ და ამჟამად პარიზისა და ბერლინის მუზეუმებშია მოთავსებული (სენ-ჟერმენი, ფრიდრიხ ვილჰელმის მუზეუმი და სხვ.)

კალაკენდის სარტყელი წარმოადგენს თხელ, გარანდულ ბრინჯაოს ბრტყელ ფირფიტას (ქარშიკს), სიგრძით საშუალოდ—800 მმ. და სიგანით—136 მმ., რომლის ბოლოები ჩვეულებრივად მომრგვალებულია; თითეულ ბოლოზე სამი ნაჩვრეტია საკინძის გასაყრელად. ზოგ ქარშიკს ადგილ-ადგილ კიდევ სხვა ნაჩვრეტებიც აქვს, უთუოდ ტყავის სარჩულის დასამაგრებლად.

ქარშიკის პირი შემკულია ფაქიზი ხელოვნების ამოკვეთილი ორნამენტებით. ორნამენტის კომპოზიცია შემდეგი შემადგენლობისაა: სარტყლის არშია გეომეტრიული სახის ჩუქურთმებია, ეზო არშიებს შორის გეომეტრიული ორნამენტებით ან ცხოველებისა და ფრინველების სურათებითაა შემკული; ზოგ სარტყელზე აქა-იქ ადამიანიცაა გამოხატული.

სამეცნიერო კამათის თავდაპირველი საგანი სარტყლის სწორედ ზემოთაღწერილი ორნამენტი შეიქნა. საკითხი დაისვა: არის თუ არა სარტყლის ორნამენტი წმინდა დეკორატიული ხასიათის, თუ ორნამენტის კომპოზიცია გარკვეულ იდეას ანსახიერებს და მაშასადამე შემოქმედის მსოფლმხედველობასამჟღავნებს. ცნობილმა მეცნიერმა რუდოლფ ვირხოვმა საკითხი სხვა სფეროში გადაიტანა და ამით კავკასიის ადრინდელი კულტურის ისტორიის ძირითადი პრობლემა მკვეთრად დასვა. იგი ამბობდა: კალაკენდის სარტყლებზე არც ერთი ისეთი გარეული ან შინაური ცხოველი არ არის გამოხატული, რომელიც კავკასიაში არ მოიპოებოდეს; ამის მიხედვით ვირხოვი ასკვნიდა: რამდენადაც ბრინჯაოს არქეოლოგიური საგნების ორნამენტები თავისი სიუჟეტით ადგილობრივი წარმოშობისაა—ადგილობრივი უნდა იყოს ბრინჯაოს ხელოვნებაც.

სხვების აზრით არც კალაკენდის სარტყლის და არც კავკასიის ბრინჯაოს ტეხნიკა საზოგადოდ წარმოშობით ადგილობრივი არ უნდა ყოფილიყო. მათი შეხედულებით კავკასიელებს ბრინჯაოს ხელოვნება ასურეთ—ბაბილონიდან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული, რადგან ბრინჯაოს მისაღებად საჭირო კალის მადანი კავკასიაში არ მოიპოება. ისიც ითქვა, რომ კალაკენდის სარტყლის ტიპის კულტურა კავკასიაში გამვლელ ხალხს, კიმერიელებს, უნდა ეკუთვნოდესო.

ამგვარად კავკასიის უძველესი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, მადნეული ხელოვნების ადგილობრივად წარმოშობის საკითხი, სადაო და საცილობელი შეიქნა. მრავალი შემავალი გარემოების გამო საკითხი იმ ზომაზედ გართულდა, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქნა. მისი საბოლოო გადაჭრა არც დღეს შეიძლება, ვინაიდან საკითხის დასამუშავებლად ახალი არქეოლოგიური მასალაა საჭირო და ახალი კვლევა-ძიება. ჯერ-ჯერობით პრობლემასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი აღინიშნოს.

კარგად ცნობილი ფაქტია, რომ უძველეს დროიდან ქართველი ტომები განთქმ ლი იყვნენ მადნეულის დამუშავებით. ასურული, ებრაული და ბერძნული წყაროები აღნიშნავენ, რომ თობალ-მოსოხებს და ხალიბებს (ქართველი ტომებია) სპილენძის და რკინის ნაწარმოებით სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. ერთი ბერძენი მწერლის ცნობით, მოსინიკების (ქართული ტომია) მიერ დამზადებული ლითონის ჭურჭელი თურმე იმიტომ იყო საუკეთესო ღირსების, რომ მოსინიკები მადანს რაღაც მიწას ურევდენ.

თანამედროვე მეცნიერებიც აღიარებენ რომ ქართველ ტომებს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე მადნეულის აღმოჩენისა და დამუშავების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ „კალა“-ს გარდა ძველ ქართულში და მის კილო-კავებში არც ერთი მადნის სახელი არ მოიპოება, რომელიც უცხო ენიდან იყოს ნასესხები.—ოქრო, ორქო, ვქრე; ვერცხლი, ვარჩხილი, ვარჩხილ; სპილენძი, ლინჯი, სპილენძ; რკინა, კინა, ერკინა; ტყვია, ბრპენი, პრპენი—ნამდვილი ქართული და მისი კილო-კავების სიტყვებია. მადნების აღმნიშვნელი ამ სიტყვებიდან ზოგიერთი შეთვისებული აქვთ ჩვენს მეზობლებს: სომხებს, დიდოელ ებს უნწოელებს და სხ. ეს კიდევ ცო აა. შედარებითი



კალაკენდის სარტყელის მოხატულობის ნიმუშები

ენათმეცნიერება ამტკიცებს რომ მადნების სახელები სხვა ერებსაც ქ რთულიდან უშუალოდ ან სხვების მეშვეობ თ აქვთ ნ სესხები.

მაგ. თითბრის სახელწოდება გერმანულად არის—მესსინგ, ანგლო-საქსურად — მესტლინგ, ძველ ნორმანდულად არის—მესსინგ, პოლონურად—მოსინძ; ეს სახელწოდებები მომდინარეობენ ქართველი ტომის მოსინიკების სახელწოდებიდან, რომლებიც ძველად განთქმუ ი იყვნენ თითბრის დამუშავებით.

აგრეთვე ფოლადის ბერძნული სახელწოდებაც—ხალიფს, ხალიბლიკოს, ხალიბების (ქართველი ტომია) სახელიდანაა წარმომდგარი. სპილენძიც ბირინჯის სახით ქართველებისაგან სპარსელებს შეუთვისებიათ, ხოლო ამ უკანასკნელებიდან ევროპიელებს ფორმით ბრონზ-ბრინჯაოს აღსანიშნავად (სამეცნიერო ლიტერატურაში ბრონზ-ის წარმომავლობის სხვა გვარი განმარტებაც არსებობს: თითქოს იგი წარმომდგარია ბრუნდუზიუმის, ქალაქია იტალიაში, სახელწოდებიდან).

ზემოთმოხსენებული გარემოება, ქართველი ტომების ღვაწლი მადნეულის დამუშავების საქმეში, უთუოდ დაკავშირებული უნდა იქნეს კავკასიის უძველესი კულტურის ისტორიის ძირითად პრობლემებთან, რამდენადაც ქართველი ტომები ამ კულტურის ისტორიის ღირებული ელემენტებია, კერძოდ იმ პრობლემასთან, რომელიც



კალაკენდის სარტყელის ნაწილი

კალაკენდის სარტყლის აღმოჩენამ წამოაყენა მადნეული ხელოვნების ადგილობრივი წარმოშობის შესახებ. მაგრამ ამგვარ დაკავშირებას წინ ეღობება ქრონოლოგიური ხასიათის დაბრკოლებები.

საქმე იმაშია, რომ კალაკენდის არქეოლოგიურ კულტურას დე-მორგანი აკუთვნებს 2000 წ. ქ. წ., ტალგრენი—1300—900 წ. ქ. წ., ხოლო ვირხოვი 1100—1000 წ. ქ. წ. ეს ისეთი თარიღებია, რომ ქართველ ტომებს ამ დროს ამიერკავკასიაში მობინადრეედ ვერ ვიგულისხმებთ. თუ ჩვენი ისტორიოგრაფიის მტკიცება მცდარი არ არის, ამ საუკუნოებში ისტორიულად ცნობილი ქართველი ტომები საქართველოში და ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყვნენ მოსული. ისინი სამხრეთით ბინადრობდენ და კალაკენდის კულტურის შექმნაში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდენ.



ქვა-კუთხის ტიპის სამარხი კალაკენდის კულტურ. ნაშთებით

მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო ის ტომი, რომელმაც ასეთი მძლავრი კალაკენდის სამადნო ხელოვნების კულტურა შექმნა. მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი იქნებოდა ამ კულტურის შემქნელი ცხრა მთის იქით მობინადრე ან შემთხვევით კავკასიაში გამვლელ ტომებში გვეძებნა. საკითხის სწორად დასმა მოითხოვს ამ კულტურის შემოქმედი პირველყოვ ისა კავკასიის აბორიგენ ხალხებში მოვიკითხოთ.

დაღესტნის ზოგიერთ ტომს დღემდე შემონახული აქვს მძლავრად განვითარებული მადნეულის დამუშავების ხელოვნება, რომელიც შეიძლება ძველი კულტურის ტრადიცია იყოს. როგორც ვიცით ლეკური ოქრომჭედლობა და ლითონის დამუშავება კავკასიაში დღესაც სახელგანთქმულია. თუ ზემოთქმულს იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ კალაკენდის სარტყლის მინამსგავსი ქარშიკიანი სარტყელი დაღესტანში დღესაც ხმ რებაშია და ადგილობრივად მზადდება—უსაფუძვლო არ იქნებოდა კალაკენდის კულტურის შემქნელი ტომი დაღესტნელებში მოგვეძლია. ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით მუშაობა კალაკენდის არქეოლოგიური აღმოჩენით დასმულ ძირითად პრობლემის გადაწყვეტას მრავალ მხრივ შეუწყობდა ხელს.

**გ. ჩიტაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა V ყრილობის სახელობის

## ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა ბათომში

**გრ. ბათომელი**

ბათომის მახლობლად ყორონის წყალის ხეობაში 400 ჰექტარის სივრცეზე გადაჭიმულია აზნავთშენის ახალი ფაბრიკა-ქარხნების საამშენებლო სამუშაოები. იქ, სადაც ორიოდე წლის წინედ მონადირეები დაძვრებოდნენ სი·ინდებში



ფოტო—გ. ნუცუბიძის.

**გადამუშავებული ნავთი თავს იყრის სპეციალურ ქვაბებში.**

და ბავშვები ხელით იჭერდნენ ზღვაზე გადმოფრენილ დალალულ მწყერებს, ეხლა ორთქლმავალის ხმაური და სამჭედლოს გუგუნი ისმის. საბჭოთა კავშირის მანქანების ტრესტმა უკვე დადგა 60 ნავთსაცავი განზრახულ 150-დან. მაგრამ ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს საკვამლე მილი, უზარმაზარი, ცამდე აბჯენილი მილი, შორიდან მოსჩანს იგი, ისე მაღალია, რომ აძ მილის საშუალებით გემები შორიდან სცნობენ ბათომს.



მახლობელი გლეხობა დიდის მოუთმენლობით ელოდა ქარხნის ამუშავებას, ამ მილის აბოლებას. ხალხში ხმები გავრცელდა, რომ „აზნავთის“ ქარხნის მილი დასწვავს სუბტროპიკულ კულტურას რომ ქალაქი დაიფარება მჭვარტლით.

ამუშავდა „აზნავთის“ ქარხანა. ცათ აბჯენილი მილიდან ამოვარდა ბოლი, უკვე სამი კვირაა სწარმოებს ქარხნის საცდელი მუშაობა, აბოლებს მილი, მაგრამ ვერც ბათომი და ვერც გარშემო მდებარე სუბტროპიკული კულტურა ვერ გრძნობს მის ცუდ გავლენას. ბათომის ჰაერი ისევე წმინდაა, როგორც ამდენ ხანს.

25 მაისს დიდის ზეიმით გაიხსნა ქარხანა. ბათომის მუშების დიდძალმა წარმომადგენლებმა, ა./კავკასიის, საქართველოს და აჭარისტანის პარტიულ ორგანიზაციების და მთავრობების წარმომადგენლებმა მხურვალე სალამი უძღვნეს „აზნავთშენის“ მუშებს და სპეციალისტებს. აზნავთშენლებიც ამაყად უცქეროდნენ თავის პირმშოს. საამაყო კი ბევრია. არაფერი არ იყო და ეხლა ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვით აგებული ქარხანა მუშაობს. მუშები შეუსვენებლათ და ყოველდღე ამუშავებენ 150.0С0 ფ. პროდუქტს.

მექანიკოსები თავს დასტრიალებენ გავარვარებულ ქვაბებს. მიტინგი თავის წესით მიდიოდა. სიტყვა-სიტყვას მისდევდა. ამხ. აპარინი ტრიბუნაზე შესცვალა ამხ. ბექზადიანმა. ნავთის მილები კი ქაჩავდნენ უცხოელთა გემებზე საბჭოთა ქარხანაში დამზადებულ საბჭოთა ნავთპროდუქტებს—ბენზინს, გაზოლინს, კეროსინს, საექსპორტო მაზუთს. უცხოეთის გაუმაძღარი გემები უზარმაზარ მდევებივით სრუპავდნენ ბრჭყვიალა სითხეს—შავ ოქროს.

სწორედ იმ დროს, როცა საკავშირო საბჭოთა მე-5 ყრილობა ამტკიცებდა სახალხო მეურნეობის 5 წლიან გეგმას, ბათომში ამუშავდა ამ გეგმის განხორციელების პირველი მაჩვენებელი—ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა. ამიტომ შეხვდა მუშათა მიტინგი აღფრთოვანებით ამხ. **ბექზადიანის** წინადადებას:



ფოტო—გ. ნუცუბიძის.

**ამ მილებით ხდება საექსპორტო მაზუთის გადაქაჩვა.**

— დაერქვას ქარხანას საკავშირო საბჭოთა მე-5 ყრილობის სახელობის ქარხანა.

ივლისის დამდეგისათვის დასრულდება ქარხნის ბენზინის საწმენდი და სუროგატების განყოფილება. უკანასკნელ განყოფილებაში ნავთის ნარჩენებიდან დამზადებული იქნება საპონი, რომელსაც საფეიქრო მრეწველობაში ხმარობენ.

ეს არის დასაწყისი, მცირედი ნაწილი იმის, რაც უნდა გაკეთდეს. სულ მოკლე ხანში ბათომის გვერდით—თამარას, ბარცხანისა და ყარა-დერეს ტერიტორიაზე გაშენდება ახალი ქალაქი, საქარხნო ქალაქი და სრულიად გამოსცვლის ბათომის მიდამოების სახეს.

**გრ. ბათომელი.**



ახლად ამუშავებული ქარხანა. ფოტო—კოზაკის

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



27 მაისს სამტრედიაში გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება კალათბურთში ბათომის მელითონეთა კავშირისა და სამტრედიის მუშათა კლუბის გუნდებს შორის. შეჯიბრება დასრულდა შედეგით 20:18 სამტრედიელების სასარგებლოდ. სურათზე—შეჯიბრების მონაწილენი.



გუბის ხიდის საზეიმო გახსნა (ქუთ. მაზრა).



იტალიის ნავთსაზიდი გემი „გენუა“ ბათომის ნავთსადგურში იტვირთება ნავთის პროდუქტებით.



ზუგდიდის მაზრის უღმერთოთა კონფერენციის მონაწილენი



ბათომის ნავთსადგურის გაფართოება.—მცურავი ამწევი მანქანის მუშაობა ნავთსადგურის ახალ ტერიტორიაზე.



პურის გადმოტვირთვა ფოთის ნავთსადგურში.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.